ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 27 – 28 ოქტომბერი, 2018 | №255 (7800) | ფასი: 60 თეთრი

## პოლიციამ ზაზა სარალიძე დააკავა

გვ.3

მისმა დედამ შიმშილობა გამოაცხადა



# ივანიშვილი ფარცხალაძეს ხელისუფლებაში აბრუნებს?



## გიგლა ბარამიძე: „აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი რუსთავი 2-ისა“

გვ.2





## გორში 9 წლის ნანა ბერიაშვილი მოკლული იპოვეს

გვ.7

მისი მკვლელობის ბრალდებით 34 წლის იაგო ნებიერიძე დააკავეს





გვ.5

## ოთარ ანგურიძე: „ლარის კურსი 3-მდე არ ავა“

„ველოდები მის გამყარებას“



გვ.4

## თენგიზ შერგელაშვილი: „კალაძის დაპირებები და პრეზენტაციები სიტყვებად დარჩა, ხოლო მისი სელფები სელფებად დარჩა“

სამართალი გვ.7



### 11 წელი ძმის მკვლელს

### ლაშა კვირკვაიას ადვოკატ მდინარაძის ცემისთვის 5 წელი და 10.000 ლარის გადახდა მიუსაჯეს



### ანა ნაცვლიშვილის მამა ლადო გრიგალაშვილის ადვოკატს უჩივლებს



ISSN 1987-9385

3 ჯემალ გამახარია: „რუსული ეკლესია ისევე, როგორც სახელმწიფო, ყველა მიმართულებით გვიტევს“

4 აშშ სამხრეთ კავკასიაში ახალ მიდგომებს ავითარებს

5 კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

6 ვასილ სოფრომაძე: „3 ათასი ლარის გამო დააყადაღეს მთელი ჩემი ქონება“

# ივანიშვილი ფარცხალაძეს ხელისუფლებაში აბრუნებს?

## გიგლა ბარამიძე: „აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი რუსთავი 2-ისა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გადაეკიდა ქვეყნის მთავარი მეოცნებე რუსთავი 2-ს, დააბრუნებს თუ არა ფარცხალაძეს ხელისუფლებაში, აპირებს თუ არა გუნდის გამოცვლას? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

**გიგლა ბარამიძე:**

— ბიძინა ივანიშვილის ბოლო გამოსვლებმა ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მის გამოსვლებს მოკლედ ასეთ შეფასებებს მივცემდი — ეკა კვესიტაძის აჩრდილი ბიძინა ივანიშვილის ზმანებებში და აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი რუსთავი 2-ისა. სხვა შეფასება არა მაქვს.

26 ოქტომბრის გამოსვლაში ის, სულ მცირე, 24 წუთი უწყვეტ რეჟიმში საუბრობდა იმაზე, რა და როგორ ვერ თქვა 23 ოქტომბერს რუსთავი 2-თან.

24 წუთის მანძილზე საუბრობდა იმაზე, თუ როგორ ამხილა რუსთავი 2, როგორ დაამარცხა კვესიტაძე, როგორ არ შეაყვანინა კვესიტაძეს თავი შეცდომაში და ა.შ. ამას ლაპარაკობს კაცი, რომელიც არის ქვეყნის ყველანაირი მმართველი.

მივმართავ ვაზელინგადასხმულ საზოგადოებას, ბიზნესინტელიგენციას და მეოცნებეების ნაწილს, ეს არის 10:0 დაამარცხა რუსთავი 2 ივანიშვილმაო? კაცს ამ ტელევიზიის მიმართ კომპლექსი გაუჩნდა, სხვა არხების ჟურნალისტები მიიწვია და იმათ უხსნის, როგორი დევგმირია.

რუსთავი 2-ისა და ეკა კვესიტაძის მეხოტბე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ივანიშვილის ბოლო ინტერვიუ იყო ხელების ქნევა ბრძოლის შემდეგ.

ამ კაცმა ლუდოვიკოს ნათქვამი — სახელმწიფო მე ვარ — აშკარად თავის თავზე მიიღო. არადა ის სახელმწიფო ვერ იქნება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას საკუთარი პარტიის იმედიც კი არა აქვს.

***— რატომ გგონიათ, რომ მას საკუთარი პარტიის იმედი არა აქვს?***

— თავად თქვა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ამ ადამიანმა საკუთარ პარტიაზე თქვა, რომ „ქართული ოცნება“ არის სუსტი და უმოქმედო. ივანიშვილი საკუთარ პარტიასაც კი ველარ მართავს და სახელმწიფო როგორ უნდა მართოს.

ამავე დროს, ჩვენგან მოითხოვს, რომ არ ვაკრიტიკოთ მისი პარტიის წევრები. ამით მან „ოცნების“ ჩინოვნიკებს უთხრა, რომ პარვა გააგრძელონ.

ამ ორი ინტერვიუთი დავინახეთ, რომ ეს ადამიანი სულ სხვა სამყაროში ცხოვრობს, ან გარემოცვა აცხოვრებს. ამიტომაც ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად არის. არადა ქვეყანაში ყველაფერი ძალიან ცუდადაა და ამაში მარტო ხელისუფლება არ არის დამნაშავე. ეს ჩვენი ბრალიცაა. ქართული საზოგადოება პროვინციელი ბიურგერების გაერთიანებად იქცა, რომელიც ხბოს აღტკინებით ახუნტრუცებული ელამუნება ერთ მილიარდერ კაცს და მის ხუშტურებს.

21-ე საუკუნეა, ხალხო, და როგორ შეიძლება, ერთი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდეს მთელი ქვეყანა. მეფეს, იმპერატორს, სულთანს და ხონთქარს არ ჰქონია იმდენის წვდომის უფლება, რაც ქართველმა ხალხმა თავისი მეტიჩრობით ერთ მილიარდერ კაცს მიანიჭა.

ეს არის ჩვენი მლიქვნელობის ბრალიც. მლიქვნელობა ქართველებს გვახასიათებს. ამას ნიკოლოზ მიწიშვილმა მიუძღვნა ძალიან კარგი სტატია „ქართული მლიქვნელობის აპოლოგია“. აი, ამ მლიქვნელობით საქმე იქამდე მივიყვანეთ, ივანიშვილმა დაიჯერა, რომ მართლა ილია ჭავჭავაძეა.



ერთი მაგის მრჩევლების ტვინში ჩამახედა, რა უბედურ რჩევებს იძლევიან.

არ შეიძლება, ერთმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს. საუბრიდან გამოჩნდა, რომ ყველა ბიზნესგარჩევის და ცემა-ტყეპის დეტალები იცის. ამტკიცებს, არ ვერევიო, მაგრამ ამ დროს ისეთ დეტალებს ყვება, რაც საზოგადოებამ არ იცის.

მაგის მრჩევლები, მლიქვნელობის გარდა, სხვა რამითაც რომ ყოფილიყვნენ დაკავებული, ივანიშვილს არ ურჩევდნენ ეთერში დაჯდომას.

***— რატომ არ უნდა დამჯდარიყო ეთერში?***

— როდესაც მან სამი ცნობილი ჟურნალისტი თავისთან ინტერვიუზე მიიწვია, იქედან ორმა მისვლაზე უარი თქვა. აი, იქ წააგო ბიძინა ივანიშვილმა პირველი რაუნდი. ამას ვერ მიხვდა, ეთერში დაჯდა, სადაც თვითაღიარება და თვითლუსტრაცია ვიხილეთ. რაზეც აქამდე ეჭვი გვქონდა, მან ყველაფერი დაადასტურა.

თავისი გამოსვლით მან პარტიის ამაგი წყალში ჩაყარა — „ოცნება“ დიდი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ივანიშვილს მარიხუანის კულტივაციასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. ამან თქვა, ეს ჩემი იდეა იყოო.

***— ივანიშვილი რომ ამ იდეით გამოვიდოდა, თქვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში ჯერ კიდევ მაშინ თქვით, როცა მარიხუანის ლეგალიზება მოხდა.***

— მართლაც რამდენიმე თვის წინ გითხარით ეს. იქედან მოყოლებული მთელი „ოცნება“ ამის უარყოფაში იყო, ბიძინამ კი დაადასტურა, რომ მისი ინიციატივაა.

მისმა ბოლო გამოსვლებმა რომაელი სენატორი მარკუს პორციუს კატონი გამახსენა. ის ყველა თავის გამოსვლას, მნიშვნელობა არ ჰქონდა რაზე საუბრობდა, შემდეგი სიტყვებით ასრულებდა — კართაგენი უნდა დაინგრეს. ნიცშეს გარდა ეგ, მგონი, არაფერს კითხულობს და მეეჭვება, პუნიკური ომები იცოდეს, მაგრამ ის ფაქტია, რომ რუსთავი 2 და ეკა კვესიტაძე კართაგენად წარმოუდგენია. ყოველი წინადადების მერე ხომ არ შეიძლება, ერთი ტელევიზია და მისი წამყვანი ახსენო?

არც ის შეიძლება, ყველა გაამართლოს, ვინც მის გვერდით დგას. ოთარ ფარცხალაძეს საერთოდ ამბრაზურასავით გადაეფარა.

***— ფარცხალაძეს უბრალოდ არ გადაეფარებოდა, ალბათ აქვს საამისოდ რაღაც მიზეზი.***

— ბუნებრივია, უმიზეზოდ არ გადაეფარებოდა. მას საამისოდ ბევრი მიზეზი ექნება. მთავარი ამ ისტორიაში ისაა, რომ ადამიანი რეალობას არის აცდენილი. რეალობას რომ აცდენილია, ეს მისი ერთი ფრაზიდანაც გამოჩნდა. მან პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატზე თქვა, მოხიბლული ვარ მისი ძველქართული აქცენტითო.

აკაკი შანიძე და ნიკო მარი რომ გააცოცხლო, ისინიც ვერ გეტყვიან, როგორია ძველი ქართული აქცენტი და ამან საიდანღა იცის, შუა საუკუნეებში როგორ საუბრობდნენ ქართველები?! ვინ ჩაუდო თავში ეს აზრი, არ ვიცი.

ბევრი ისაუბრა ივანიშვილმა იმაზეც, რომ ნაცები დამნაშავეები არიან. ამაზე არავინ არ ვდავობთ, მაგრამ ამ საკითხზე მასაც მინდა ასეთი კითხვა დავუსვა, ბატონო ბიძინა, საკუთარ თავს არ თვლით დამნაშავედ, რომ ეს ხალხი გვერდზე გიზით?

ყოფილი ნაცების ნაწილი მთავრობაშია გამოჭიმული, მეორე ნაწილი „ოცნებასთან“ ერთად ბიზნესსაქმიანობაშია ჩართული. ნაციონალების ერთ-ერთი განაყოფი პარტია „ოცნების“ ლიდერთან ძალიან დაახლოებულია. სასამართლო და პროკურატურაც ნაციონალებით არის სავსე. და როცა ასეა საქმე, ვის ვაბოლებთ, ბატონო ბიძინა. აი, ამაზეა ნათქვამი, არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ადამიანი წლების მანძილზე ნაციონალების მთავარი დამფინანსებელი იყო.

ან ლოგიკა სად არის, როცა გადასახადების გადაუხდელობაზე საუბრობდა და იქვე მიაყოლა, თქვენ გგონიათ, რუსთავი 2-ს არ აქვს გადასახადი, მაგრამ მათ რომ მოვთხოვოთ გადახდა, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებაო? რა გამოდის? ვისიც ეშინიათ, იმათ გადასახადების გადახდასაც არ სთხოვენ, ხოლო ვისიც არ ეშინიათ, იმათზე უნდა გადაიარონ.

მის მოსმენაზე ბევრი დავკარგე, ძალიან ყურადღებით მოვუსმინე და ძალიან სამწუხარო რამე აღმოვაჩინე. — ეს ადამიანი რასაც ლაპარაკობს, ყველაფრის სჯერა. და, რაც მთავარია, მას ბუფერები აღარ აქვს. გარშემო სამარცხვინო კადრები ჰყავს და მათით არის აღფრთოვანებული.

ამათზეა გადაფოფრილი და იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ყველა დარტყმა მიდის მასზე. საქართველოში არც პრემიერს, არც პარლამენტის თავმჯდომარეს და არც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს არაფერი ეკითხება. შესაბამისად, არც პასუხი მოეთხოვებათ. ყველაფერზე პასუხის გამცემი ივანიშვილია.

გადასულია ყაჩაღების, ბაცაცების და ხულიგნების დაცვაზე. ერთი კითხვაც კი არ გაუჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან აქვს ამ ხალხს იმის ფულები, რომ ამხელა სასახლეები ააშენონ.

არაერთხელ მითქვამს რომ „ქართული ოცნება“ ეს არის სოვდაგრების, ჩარჩ-ვაჭრების და კულაკების კარტელური გაერთიანება. ამ ჩამონათვალს დავამატებდი პრარაბებსაც.

***— პრარაბებს რატომ?***

— რატომ და „ოცნების“ დეპუტატებმა კანონშემოქმედებით საქმიანობაზე ბევრად უკეთესად იციან, თუ როგორ უნდა შეათეთრონ კედლები. გადასარევად ერკვევიან შავ, თეთრ და მწვანე კარკასებში.

სახელმწიფოებრიობაზე ოდნავი წარმოდგენა მაინც თუ აქვს ბიძინას, არ შეზარა იმ კადრმა, მისი წარმომადგენლები კალკულატორით ხელში პირდაპირ ეთერში რომ ისხდნენ და იმას ითვლიდნენ, რამდენი დაუჯდა გაჯი, ქვიშა, აგური და ა.შ.

ამიტომაც ვამბობ, რომ „ოცნება“ არის ჩარჩების გაერთიანება, რომელსაც ახლა დაემატა პრარაბებიც.

ივანიშვილი გვეტრაბახება, მენეჯმენტი ჩემი „კანიოკიაო“. მაგიტომ არ მატულობს ხალხისთვის ხელფასები და ამიტომ არ ეზრდებათ პენსიონერებს პენსია? ჰგონიათ, რომ კაპიკებში შენდება 5-სართულიანი სასახლეები. მიაჩნია, რომ ამის ხალხსაც სჯერა. ამ ყველაფრის მერე ივანიშვილმა დამატებით კიდევ ერთი წელი ითხოვა.

***— ეს ერთი წელი რატომ ითხოვა? ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები გამოითქვა. არის ვარაუდი, რომ ერთ წელიწადში აპირებს წასვლას.***

— თავისი ნებით ერთ წელიწადში არ წავა. მას ახლა დროის გაწელვა უნდა და პრეზიდენტის ინსტიტუტზე ამყარებს დიდ იმედებს. ეს პრეზიდენტი, მართალია, უუფლებო იქნება, მაგრამ მას მაინც პრეზიდენტი ერქმევა და საზღვარგარეთ მის სიტყვასაც წონა ექნება.

ივანიშვილის გათვლებით, პრეზიდენტმა უნდა გაათეთროს „ქართული ოცნების“ დეგრადირებული სახე უცხოეთში. ამიტომაც არის ასეთი აღტკინებული. იმდენად არის აღტკინებული, რომ საერთოდ არ ფიქრობს, რა პრობლემები შეიძლება შეექმნას პრეზიდენტისგან.

ფიქრობს, რომ „ოცნების“ გათეთრება ერთ წელში მოხდება და



ერთი წლის შემდეგ უკვე პლანის პლანტაციებს შეეთამაშება. პლანტაციების გაშენებამდე ცოტა ამოსუნთქვა უნდა.

***— ყველა საკითხზე საუბრისას თავის საყვარელ ფილოსოფოს ნიცშეს რომ გვიხსენებს, ის ალკოჰოლსაც კი არ ეკარებოდა, რადგან ტკივილის გაყუჩების საშუალებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ის ადამიანს აგდებს ილუზიაში. და ბიძინა რას მიახტა ნარკოტიკებს?***

— მართლა არ სვამდა ეს ნიცშე ალკოჰოლს. ზარატუსტრამ აუკრძალა მისი მიღება. ეს ზარატუსტრა 10 წელი საზოგადოებისგან იყო მოწყვეტილი და გამოქვაბულში ცხოვრობდა.

გამოქვაბულიდან ზარატუსტრა სრულიად განახლებული ადამიანი გამოვიდა. მე პირადად განახლებული ბიძინა ვერ ვნახე. რასაც ამბობდა ადრე, ახლაც იგივეს აცხადებს. ოღონდ მაშინ მას ზურგზე „ოცნების“ წევრების სისულელეები აკიდებული არ ჰქონდა. ახლა ამბრაზურასავით გადაეფარა პოლიტიკურ გვამად ქცეულ „ოცნებას“ და ყველა დარტყმას საკუთარ თავზე იღებს.

ამ დარტყმების აცილებას უკვე ველარ ახერხებს. მას პასუხი არც ერთ კითხვაზე არა აქვს. მე ვიქნებოდი ბედნიერი, რომ მისგან აღიარება მომესმინა. მან მხოლოდ ის აღიარა, რომ „ოცნება“ ძალიან სუსტია და იქ დიდი ცვლილებების გატარება სურს. ცვლილებები რომ განახორციელო, ამის სურვილი და ხედვა უნდა გქონდეს.

***— მას არა აქვს ამის სურვილი?***

— მე ვერ ვამჩნევ ამის სურვილს. ოთარ ფარცხალაძის დაცვაზეა გადასული.

***— ისეთი შემართებით აქებს, ხელისუფლებაში ხომ არ უპირებს მოყვანას?***

— არც ეგაა გამორიცხული. ამბობს, ნაადრევად და უმიზეზოდ წავიდა პროკურორობიდანო.

ეს ადამიანი ცხოვრობს ირეალურ სამყაროში, ან უბრალოდ უნდა, რომ საზოგადოების ბეყე ნაწილი კიდევ გამოალენჩოს თავისი დაპირებებით. მინდა მივმართო საზოგადოებას, მოსწყდით ცოტა ხნით ამ ფეისბუქს და გვერდიდან შეხედეთ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ტყუილად ჩაგიდოთ ღმერთმა თავში ტვინი?!

ახლა მოდი, შევწყვიტოთ ბიძინაზე საუბარი და ვაცალოთ თავისი „შედევრის“ შექმნა — როგორც ჰომეროსმა ილიადა დაწერა, მან რუსთავიორიადა დაწეროს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პოლიციამ ზაზა სარალიძე დააკავა

## მისმა დედამ შიმშილობა გამოაცხადა



შორენა მარსაგიშვილი

**არჩევნებამდე 2 დღით ადრე, 26 ოქტომბერს, სამართალდამცავებმა შვილმოკლული მამა, რომელიც შვილის მკვლელების დასჯას ითხოვდა, დააკავეს. ზაზა სარალიძის დაკავება რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ მოხდა.**

დაკავების შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ის ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ის დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით.

შვილმოკლული მამის დაკავებას, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

შვილის საქმის გაგრძელება ზაზა სარალიძის დედამ გადაწყვიტა. მან პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. ხორავას ქუჩაზე მოკლული დათუნა სარალიძის ბებიამ ხალხს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

– ნუ დამტოვებთ მარტო. 47 დღის განმავლობაში ზაზა იყო პროვოკაციებში და 26 ოქტომბერს ძალიან უმტყუნა ნერვებმა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ზაზასთვის შეუგინებია იმ პიროვნებას, ვისაც ფიზიკურად შეეხო, – ამბობს ზაზა სარალიძის დედა.

დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმაც.

მისი თქმით, ზაზა სარალიძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა არაერთხელ მიაყენა პოლიციას, თუმცა მისი მდგომარეობის გათვალისწინებით პოლიცია თვალს ხუჭავდა ამაზე. ნათია მეზვრიშვილის თქმით, დღეს პოლიცია იძულებული გახდა ემოქმედა და ფიზიკური თავდასხმის ფაქტზე დაეკავებინა ის.

– სამწუხარო ფაქტი მოხდა 26 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე. ფაქტიურად ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენ ვნახეთ არაერთი შემთხვევა, როდესაც ბატონი ზაზა სარალიძე პოლიციის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ხერხებს მიმართავდა. თუმცა, გვესმოდა ადამიანურად მისი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, პოლიცია მთელი ამ თვეების განმავლობაში უბრალოდ იდგა და ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. ვგულისხმობ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს. თუმცა, უკვე დღეს, სამწუხაროდ, პოლიცია იძულებული გახდა, რომ ემოქმედა, რადგან ეს უკვე იყო აშკარა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, აშკარა თავდასხმის ფაქტი, რამაც პოლიციას სხვა გზა არ დაუტოვა, გარდა იმისა, რომ მის მიმართ იძულების ღონისძიება – დაკავება გამოყენებულიყო. ზაზა სარალიძე არის ს.ს.კ.-ს 353-ე პრიმა მუხლით დაკავებული, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნათია მეზვრიშვილმა.

შვილმოკლული მამის დაკავება ოპოზიციამ რუსთაველის გამზირზე გააპროტესტა.

საგანგებო განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გთავაზობთ.

– არასამთავრობო ორგანიზაციები ვეხმაურებით ზაზა სარალიძის დაკავებას და მიგვაჩნია, რომ ზაზა სარალიძის ქმედება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებების უხეში და განგრძობითი დარღვევის გამოძახილია.

ზაზა სარალიძის, მალხაზ მაჩალიკაშვილისა და მისი მხარდამჭერების მიერ საქართველოს პარლამენტის წინ მრავალდღიანი მშვიდობიანი პროტესტის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია და კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ, როცა აქციის მონაწილეებს არ მისცა მშვიდობიანი პროტესტის გამოსახატავად კარვის ან/და სხვა კონსტრუქციის მოწყობის უფლება. სწორედ საქართველოს შსს-ს წარმომადგენლების მიერ კანონის დარღვევას მოჰყვა 26 ოქტომბერს ძალადობის ესკალაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისევე, როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, გააკეთეს მკაფიო განცხადებები, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მსგავსი ქმედება საქართველოს კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევაა და წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. მიუხედავად ამისა, როგორც მედიით გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, დღეს პარლამენტის წინ ინციდენტი სწორედ წვიმისგან დამცავი კონსტრუქციის მოწყობისათვის პოლიციის წარმომადგენლების მიერ ხელშეშლას მოჰყვა. სწორედ ამან გამოიწვია ზაზა სარალიძის მხრიდან ძალადობა.

იმ ფონზე, როცა საქართველოს საგამოძიებო უწყებების მიერ, დღემდე უგულებელყოფილია საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოძიების ჩატარებისას ჩადენილ კანონდარღვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით, ხოლო დაზარალებულთა მიერ მშვიდობიან პროტესტის გამართვას, მიზანმიმართულად ხელს უშლიან შს სამინისტროს წარმომადგენლები, ნათელია, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია ნება, ამ საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება და აღსდგეს სამართლიანობა.

მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ზაზა სარალიძე საქართველოს სს კოდექსის 3531-ე (პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ხოლო მისი თანმხლები ორი პირი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დააკავეს. ასევე მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ზაზა სარალიძე ჯანმრთელობის გაუარესების გამო ინგოროყვას კლინიკაშია გადაყვანილი.

მიუხედავად იმისა, რომ მედიით გავრცელებულ კადრებში ჩანს ზაზა სარალიძის ფიზიკური ძალადობა პოლიციელზე, გასათვალისწინებელია ის კონტექსტი, რომელიც აღნიშნული ძალადობის მიზეზი გახდა და რომელიც შს სამინისტროს უკანონო, თვითნებურ და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პოლიტიკას უკავშირდება შეკრების მონაწილეების მიმართ. რამდენიმე კვირის განმავლობაში, დღისით და ღამით, განსაკუთრებით ცუდ ამინდში აქციის მონაწილეებს უკიდურესად მძიმე პირობებში უწევთ შეკრების ადგილზე ყოფნა, რაც სტრესის, ღირსების შელახვისა და დაუცველობის გრძნობას იწვევს. წვიმიან დღეს, პოლიციის მხრიდან კარვის გაშლისთვის კიდევ ერთხელ ხელშეშლა, ზაზა სარალიძის მიმართ უკანონო და ანტიჰუმანური მოქმედების ნათელი დემონსტრირება იყო.

ორივე ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება სამართალდამცავთა მხრიდან სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებას და მათივე კანონიერი მოთხოვნის არსებობის აუცილებლობას ითვალისწინებს. მაშინ როცა, მშვიდობიანი შეკრების უფლების ფარგლებში, კარვის ან სხვა კონსტრუქციის გაშლის უფლებაში ხელშეშლა კანონიერ მოთხოვნად არ შეიძლება განვიხილოთ. ამ დანაშაულის არსებითი ელემენტი სახეზე არ გვაქვს. მნიშვნელოვანია, ძალადობის წარმოშობის პროცესში, თავად პოლიციის უკანონო მოქმედებებს სამართლებრივი შეფასება მიეცეს.

შეკრების და მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით წარმოადგენს დანაშაულს და იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საქართველოს პარლამენტის წინ 26 ოქტომბერს განვითარებული მოვლენების ფონზე მოვუწოდებთ:

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საკუთარი თანამდებობის გამოყენებით მშვიდობიანი შეკრების უფლების უკანონოდ შეზღუდვაში;

გაიაზროს სახელმწიფო პოლიტიკის უკანონო და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო შინაარსი, რაც გახდა ზაზა სარალიძის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევის საფუძველი და სს სამართლის კანონმდებლობის სწორ გამოყენებასთან ერთად გამოიყენოს ჰუმანური და სამართლიანი მიდგომები დაწყებული გამოძიების პროცესში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაუყოვნებლივ შეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს კარვების/სხვა კონსტრუქციების გაშლის შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა და ამის თაობაზე გააკეთოს საჯარო განცხადება;

წინასაარჩევნო კონტექსტის გათვალისწინებით, გაიაზროს პროცესების ესკალაციის რისკები და მიიღოს ყველა ზომა მშვიდობიანი, სამართლიანი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. მნიშვნელოვანია ეს გარემო, პირველ რიგში, შეექმნათ აქციის ორგანიზატორ შვილმკვდარ მამებს, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების და იგნორირების მსხვერპლები არიან, – ნათქვამია არასამთავრობოების განცხადებაში.

# ჯემალ გამახარია: „რუსული ეკლესია ისევე, როგორც სახელმწიფო, ყველა მიმართულებით გვიტევს“

გულიკო ბალაძე

**ვის შეიძლება ამზადებდეს რუსეთი აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტად? აფხაზეთსა და ცხინვალში დარჩენილი ეკლესიებიც რუსეთის ოკუპანტური პოლიტიკის ნაწილია. მსოფლიო პატრიარქი აფხაზეთსა და ცხინვალში ქართული ეკლესიის სრულ იურისდიქციას აღიარებს, რაც მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა მეუფე ზენონთან საუბარში დაადასტურა. ამის შესახებ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ საუბრობს.**

***– ბატონო ჯემალ, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია აფხაზეთის ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და გითქვამთ, რომ იქ ორი მიმართულებაა, ერთი მოსკოვზეა მიბმული, მეორე ემორჩილება კონსტანტინეპოლს. ცოტა ხნის წინ, მეუფე ზენონმა ფეისბუქზე დაწერა, მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსთან შეხვედრის შესახებ, სადაც მსოფლიო პატრიარქმა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პოზიცია დააფიქსირა.***



– დიახ, მეუფე ზენონი ფეისბუქზე იხსენებს კონსტანტინეპოლისა და ახლისა რომისა მთავარეპისკოპოსის, მსოფლიო პატრიარქის ბართლომე I პოზიციას საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

მეუფე ზენონი წერს: როდესაც ვუთხარი მის ყოვლადუწმინდესობას, არსებობს ინფორმაცია, რომ ისინი თქვენ გიხსენიებენ საქართველოს პატრიარქის ნაცვლად თავის მაკურთხებლად, რომ თითქოს მათ აქვთ კონსტანტინეპოლიდან წახალისება, მითხრა, ჩამოვალ საქართველოში თუ ეს პატრიარქის სურვილი იქნება და თბილისიდან საჯაროდ გამოვაცხადებ, რომ აფხაზეთის თვითმარქვია ავტოკეფალისტებს მსოფლიო საპატრიარქოდან არ აქვთ მხარდაჭერა. გამოვაცხადებ, რომ აფხაზეთის ერთადერთი ეპისკოპოსი და პატრიარქი არის უნეტარესი და უწმინდესი ილია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის ოკუპირებული. გვაქვს ინფორმაცია, რომ იქ უკანონოდ მოქმედებენ მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლები.

***– ეს განცხადება რის მანიშნებელია?***

– ჩვენ ეს სიტყვები უნდა გავიგოთ ზუსტად ისე, როგორც არის ნათქვამი. მსოფლიო საპატრიარქოს, კონკრეტულად, მსოფლიო პატრიარქს არაერთხელ განუცხადებია ამის თაობაზე, მაგრამ ასეთი მკაფიო განცხადება არ მახსენდება. ადრეც იყო განცხადებები, ქართული ეკლესიის მთლიანობის მხარდაჭერის თაობაზე, მაგრამ თუ ადრე კითხვები იყო დარჩენილი, აქ ყველა კითხვაზე პასუხია გაცემული.

***– ადრე არსებული კითხვები რას ეხებოდა?***

– ადრე დარჩენილი კითხვები აფხაზეთის ეკლესიას ეხებოდა. სეპარატისტები იქ ჩადიოდნენ, რომლებსაც ღებულობდნენ და უსმენდნენ. როგორც ჩანს, მსოფლიო საპატრიარქოში მსოფლიო პატრიარქი სეპარატისტებს კი ღებულობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესიის მთლიანობის თაობაზე პოზიცია არანაირად არ შეცვლილა.

უკრაინის ეკლესიასთან დაკავშირებული ვნებათაღელვის ფონზე მსოფლიო პატრიარქმა ალბათ ჩათვალა, რომ პოზიცია მკაფიოდ და ცალსახად დაეფიქსირებინა, რასაც მე მხოლოდ მივესალმები. ეს ძალიან კარგია.

***– თქვენ ადრე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ თვითონ რუსეთის ეკლესიას არ აქვს თავისი ეკლესიის ავტოკეფალურობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მსოფლიო პატრიარქის განცხადებამაც დაადასტურა. ამ დროს რუსეთის ეკლესია უშვებს იმას, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩვენი ეკლესიები გადაღებონ. ვიცით, რომ ზოგადად რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ თვითონ ეკლესიაც ოკუპაციური პოლიტიკის მატარებელია?***

– მე შემიძლია სრულიად ახალი ინფორმაცია მოგაწოდოთ. რა თქმა უნდა, სავსებით სწორია თქვენი შეფასება რუსეთის ეკლესიის პოლიტიკისა და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ერთი მხრივ, საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად აღიარებს, მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თვითონ მართოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ეკლესია და ეკლესიურადაც შეიერთოს.

რასაც რუსეთის საერო ხელისუფლება აკეთებს (აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი დამოუკიდებლები არიანო, სინამდვილეში ოკუპირებული აქვს და ახლა ანექსიას ახდენს), დაახლოებით იგივე პოლიტიკას აწარმოებს რუსული ეკლესია. ერთი ახალი ფაქტის თაობაზე ორი დღის წინ გამოქვეყნდა.

***– რა ფაქტზე საუბრობთ?***

– არის ასეთი ახალგაზრდა ინალ არძინბა. ის არის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მუშაობს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ალბათ, აფხაზეთის მომავალ ე.წ. პრეზიდენტად ამზადებენ.

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– ორი დღის წინ, ეს ახალგაზრდა კაცი დაინიშნა რუსეთის პატრიარქთან არსებული ახალგაზრდობის საქმეთა კონფესიათაშორის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარედ. ვფიქრობ, ეს არის გარკვეული მინიშნება და გარკვე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თენგიზ შერგელაშვილი: „ქალაქის დაპირებები და პრეზენტაციები სიტყვებად დარჩა, ხოლო მისი სელფები სელფებად დარჩა“

იაგო ნაცვლიშვილი

**– 1 წელზე მეტია, რაც კახა კალაძე თბილისის მერია. რა გაკეთდა მერიაში ამ 1 წლის განმავლობაში და სრულდება თუ არა წინასაარჩევნო დაპირებები, – ამის შესახებ „ახალი თაობა“ ინფრასტრუქტურის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, თბილისის მერობის ყოფილ კანდიდატს „შენების მოძრაობიდან“ თენგიზ შერგელაშვილს ესაუბრა:**



***– ბატონო თენგიზ, როდესაც მერობის კანდიდატი იყავით, თქვით, რომ გქონდათ მოლოდინი, კალაძე ნარმანიაზე უარესი მერი იქნებოდა. გამართლდა თქვენი მოლოდინი?***

– როგორც ვსაუბრობდი და რა მოლოდინიც მქონდა, გამართლდა. მისი დაპირებები და ლამაზი პრეზენტაციები სიტყვებად დარჩა. ხოლო მისი სელფები სელფებად დარჩა.

***– ზოგადად როგორ შეაფასებთ მისი მერობის ერთწლიან პერიოდს?***

– რა ფუნდამენტური პრობლემაც აქვს ამ ქალაქს როგორც გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ისე სატრანსპორტო თვალსაზრისით, ამ 1 წელიწადში არაფერი გადადგმულა, რაც ხელშესახებ შედეგს გამოიღებდა. ვერც კი ვიხსენებ, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ გაიხსენებ, რა გაკეთდა ამ ერთ წელში. მას ჰქონდა სამი უმთავრესი პრიორიტეტი: მშენებლობა, ტრანსპორტი, ეკოლოგია. მაინტერესებს, რა ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, რა შეიცვალა?! ერთადერთი განაშენიანების გენერალური გეგმა მიიღეს, მაგრამ ნებართვებისა და სისტემის ცვლილებაზე ვერავითარი შედეგი ვერ მივიღეთ ამ ერთ წელიწადში.

***– თქვენ გახსენდებათ რამე? გარდა იმისა, რომ ტაქსებთან დაკავშირებით რაღაცა ინიციატივებია?! ავტობუსების შემოყვანაზე მხოლოდ საუბარია და ფერებზეა საუბარი. სინამდვილეში, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, არც ერთი ავტობუსი არ დამატებია ქალაქის ავტოპარკინგს. რეალურად სურათი გვაქვს.***

– ავტობუსებთან დაკავშირებით გაცხადდა, რომ 2019 წლის ბოლომდე უნდა შემოიყვანონ ახალი ავტობუსები.

ჯერ გაცხადებული იყო, რომ 2018 წელს უნდა მომხდარიყო, მაგრამ 2018 წელს არც ერთი ავტობუსი არ დამატებია ავტოპარკინგს. რომ ყოფილიყო ახალი ავტობუსები, დიდი ზარ-ზეიმით შემოიყვანდნენ.

***– პრაქტიკულად ყველა კანდიდატის ერთ-ერთი ფუნდამენტური დაპირება ქაოტური მშენებლობების მოგვარება იყო. ამ მიმართულებით თუ დაინახეთ, თუნდაც ერთი პატარა ნაბიჯი რომ გადადგმულიყო?***

– ცალკეული განცხადებები კეთდება, თითქოს ზედამხედველობის სამსახური ვიღაცებს აჯარიმებს, მაგრამ ასეთი რაღაცები ადრეც ხდებოდა. ეს ჩვეულებრივი რუტინული რაღაცაა. რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება ჩვენ ვერ ვნახეთ.

დღეს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით თბილისი საით მიდის. რა შეიცვალა ამ გარემოში? არაფერი!

***– ამაში რას გულისხმობთ?***

– გენერალური განაშენიანების გეგმა მიიღეს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჯერ ისედაც ძალიან დაგვიანდა მისი მიღება, მერე ის, რომ ძალაში შევიდეს, ძალიან ბევრი დოკუმენტია საჭირო, რეგლამენტაციაა საჭირო. ამ მიმართულებით ცვლილებები არ ყოფილა. შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული ერთადერთი ის გვაქვს, რომ ერთი დოკუმენტით მეტი გვაქვს. სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ ჩანს.

***– რა რჩევა გაქვთ ან რა რეკომენდაციას გაუწევდით კახა კალაძეს? რა არის ის მთავარი, რაც მან უნდა გააკეთოს?***

– ქალაქის მართვა, ეს არის სისტემური საკითხი. ასე ცალკეულ პიარ-საკითხებზე და ერთჯერად განაცხადებზე არ უნდა იყოს ეს აგებული. შესაბამისად უნდა ვიცოდეთ გადაჭრის გზები.

მაგალითად, ავილოთ პარკირების პრობლემა, როგორ ვაგვარებთ ამ პრობლემას? „სითი პარკის“ გაშვება იყო მთავარი საკითხი? რა შეიცვალა მისი გაშვებით? არაფერი!

არანაირი ცვლილება არ გვაქვს ტრანსპორტის მიმართულებითაც. მით უმეტეს, უკეთესობისკენ. სისტემატურად უნდა დავინახოთ ეს პრობლემა, როგორიცაა ტრანსპორტი, ეკოლოგია და მშენებლობა. ამ საკითხს სისტემურად უნდა მივყვეთ. ჯერჯერობით ასეთი არაფერია. ცალკეული ინიციატივები ხდება, ზოგადი სურათების ფრიალი, რაღაცა განცხადებები... ეს არ არის ქალაქის მართვა. ქალაქის მართვას სჭირდება საერთო ხედვა. ქალაქის მართვა გაცილებით რთული მექანიზმია. საითკენ მივდივართ, ამაზე არაფერი ვიცით. ჩვენ ვიცით ცალკეული ინიციატივები. რა დაგვამახსოვრდა მერიის მოქმედებებისგან? დაგვამახსოვრდა ტაქსების ფერი და ტაქსის მძღოლების რიგი. მეტი არაფერი არ დაგვამახსოვრდა.

***– ტაქსების რეგულაციაზე რას ფიქრობთ?***

– ტაქსების სისტემის რაღაცა გარკვეული რეგულაცია ცალკე აღებული საჭიროა, მაგრამ ეს უნდა იყოს საერთო კონტექსტში. რას ვუშვრებით სამარშრუტო ტაქსებს?! ტაქსების პრობლემა ცალკე აღებულად ვერ მოგვარდება. ტრანსპორტის პრობლემა კომპლექსურად უნდა მოგვარდეს. ვაკეთებთ თუ არა სატრანზიტო დერეფნებს ქალაქში? უარს ვიძახით თუ არა მიკროავტობუსებზე? ტაქსების რეგულაცია მოიცავს თუ არა გარკვეულ რეგლამენტაციას, რომ ვთქვათ, ერთდროულად მთელი ტაქსოპარკი არ მოძრაობდეს მთელი დღის განმავლობაში და ა. შ. ფერზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. საუბარია რეგულაციებზე. თუ ჯამში არ დავინახეთ კომპლექსურად ეს საკითხი, ცალკე აღებული ტაქსის ფერი არაფრის მომცემია.

***– ეჭვობდით, რომ შესაძლოა მერია კორუფციაში უფრო ჩაფლულიყო. ხედავთ დღეს ამის ნიშნებს?***

– ცალკეული შემთხვევები, რომელიც მესმის მედიის საშუალებით, ეს ცალსახად ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით რაღაც პრობლემები არსებობს მერიაში. ვრცელდება ასეთი კონკრეტული „ქეისები“ და შემთხვევები.

# აშშ სამხრეთ კავკასიაში ახალ მიდგომებს ავითარებს

## აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის ვიზიტმა კავკასიაში სომეხ და რუს ექსპერტებში შიში გააჩინა

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ჩამოსვლამდე აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი აზერბაიჯანსა და სომხეთს სტუმრობდა.

მანამდე გამოითქმებოდა ვარაუდები იმის შესახებ, რომ ბაქოში მისი ვიზიტი ნაკლებად დატვირთული, ცერემონიალური იქნებოდა. აზერბაიჯანელი უფლებადამცველები ცდილობდნენ მისთვის ხმის მიწვდენას



ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობის შესახებ. ისინი მოითხოვდნენ ჯონ ბოლტონის ჩართვას თბილისიდან გაუჩინარებული და შემდეგ აზერბაიჯანის ციხეში მოხვედრილი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის უპირობოდ გათავისუფლებაში.

საბოლოოდ, აშშ-ის მაღალჩინოსნის ვიზიტმა აზერბაიჯანში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ახალი იდეების შემუშავების მოლოდინი გააჩინა, სომეხ და რუს ექსპერტებში კი პესიმიზმი გაალვივა. მუხთარლისა და სხვა პოლიტპატიმრებზე საუბარი არ ყოფილა.

ბოლტონმა განაცხადა, რომ აშშ კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. მისი თქმით, ამ პრობლემის მოწესრიგებას შეუძლია გავლენა იქონიოს მშვიდობის დამყარებაზე რეგიონსა და მთელ მსოფლიოში. ამდენად, კონფლიქტის მოგვარებას ამერიკისთვის სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბაქოელ ექსპერტებს ამერიკელი მაღალი რანგის მოხელის სტუმრობის შემდეგ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მალე გამოაცხადებს ახალ იდეებს მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოსაწესრიგებლად. ახალი გეგმა გააერთიანებს აშშ-ის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის შეხედულებებს ამ სფეროში.

რუსმა ექსპერტებმა არ გამორიცხეს, რომ ვაშინგტონმა ბოლტონის საშუალებით აზერბაიჯანს საიდუმლოდ შესთავაზა კონფლიქტის მოგვარების ალტერნატივა იმ დროს, როცა გარეგნულად ამ პრობლემაზე მომუშავე მინსკის ჯგუფის მონაწილე აშშ დიპლომატიის ყველა ნორმას იცავს.

რუსეთში ფიქრობენ, რომ ბოლტონის ჩართვა პროცესებში ნიშნავს დსთ-ს ფორმატში, რუსეთის აქტიურობით ამ საკითხზე მიღწეული შეთანხმებების წყალში ჩაყრას.

დიდი რეზონანსი გამოიწვია ბოლტონის განცხადებებმა შეიარაღებაზე. მან დაუფარავად ურჩია აზერბაიჯანსა და სომხეთს, რომლებიც დიდი რაოდენობით იარაღს ყიდულობენ რუსეთში, შეიძინონ ამერიკული იარაღი.

სომეხი ექსპერტების თქმით, ეს ნიშნავს შეიარაღების ბაზრიდან რუსეთის განდევნის მცდელობას.

ამერიკული შეიარაღების რეალიზაცია კავკასიაში ვაშინგტონს დიდ ფულად სარგებელს ვერ მოუტანს, მაგრამ შესძენს გეოპოლიტიკურ დივიდენდებს. აზერბაიჯანისთვის ამერიკული იარაღის მიწოდება გამოიწვევს მილიტარიზაციას კონფლიქტის ზონაში.

სომეხი მიმომხილველები კიდევ ერთმა თემამ აალელვა. მათი აზრით, ტრამპი ერთგულია პრინციპისა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“. მისი გატარების დროს დემოკრატია და ადამიანის უფლებები მხოლოდ ლირიკაა. ვაშინგტონს არ აინტერესებს ის, თუ როგორ იქცევა აზერბაიჯანი. ამერიკა აპირებს, გააუქმოს აზერბაიჯანისთვის წინა წლებში დაწესებული შეზღუდვა.

„თავისუფლების მხარდაჭერის“ აქტით აშშ ეხმარება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. აზერბაიჯანთან მიმართებით კონგრესმა მიიღო დამატება, რომლითაც აზერბაიჯანს ეს დახმარება მოეხსნა მთიანი ყარაბაღის გამო. წინა წლებში, როცა სჭირდებოდა, ვაშინგტონი ამ შეზღუდვას დროებით აჩერებდა. ამჯერად დაგეგმილია შეზღუდვის გაუქმება.

ერევნელი ექსპერტების თქმით, ამერიკას ადრინდელზე მეტად სჭირდება აზერბაიჯანის ნახშირწყალბადები. გათვალისწინებულია ენერგოპროექტების რეალიზაცია, მაგრამ ეს ვერ შექმნის გარანტიებს კავკასიაში სტაბილურობისთვის.

# „საქართველოში არ არის იმ რაოდენობის და ხარისხის თამბაქოს ნედლეული, რომ თამბაქოს მსხვილმა კომპანიებმა ჩაიბარონ“

– ქართული თამბაქო უმაღლესი ხარისხისაა, თუმცა, მსოფლიო მონოპოლიური მიდგომების გამო ამ ბიზნესში შესვლა რთულია, – ასეთ განცხადებას „კომერსანტთან“ თამბაქოს ნედლეულის ქართველი მწარმოებლები აკეთებენ. მათი შეფასებით, ქართული თამბაქო ხარისხით საკმაოდ კონკურენტნარიანია, თუმცა, საკმაოდ მწვავედ დგას გასაღება პრობლემა.

ქართული სიგარის მწარმოებელი კომპანია „იმერის“ დამფუძნებელი თამაზ თურმანიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ნედლეულეს მოსახლეობისგანაც ყიდულობს და ინდონეზიიდანაც შემოაქვს, რადგან სიგარა, 1 სახეობის თამბაქოსგან არ იწარმოება.

კითხვაზე, რატომ არ ინტერესდებიან საქართველოში არსებული თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები და რატომ ხდება ნედლეულის იმპორტით შემოტანა, თურმანიძე განმარტავს, რომ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სიგარეტი „პირველის“ მწარმოებელი კომპანია ყიდულობდა ადგილობრივებისგან ნედლეულს, თუმცა, შემდეგ მან ადგილობრივს იმპორტირებული არჩია. რაც შეეხება მიზეზს, ამის შესაზებ თურმანიძეს ინფორმაცია არ აქვს.

– ფასზე პრობლემა არ არის. ჩემი აზით, მსოფლიო მონოპოლიური მიდგომები არსებობს და მიზეზიც ალბათ ეს არის, – აცხადებს თურმანიძე.

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვერში ფერმერი გივი ედიბერიძე მიმდინარე წლიდან თამბაქოს ნედლეულს აწარმოებს. მისი განმარტებით, წელს 2.200 კვადრატულ მეტრ ფართობზე 300 კილოგრამი თუთუნის მოყვანა შეძლო, თუმცა, დღემდე რეალიზაციის პრობლემა აქვს.

როგორც ედიბერიძე განმარტავს, პრობლემას ქმნის ისიც, რომ დღეს ქვეყანაში ხარისხის შემმოწმებელი ლაბორატორია არ არსებობს. საზღვარგარეთ ამ მომსახურების მიღება კი ძვირი ჯდება.

თუმცა, მწარმოებლებისგან განსხვავებით, სიგარეტი „პირველის“ მწარმოებელი კომპანია „თბილისის თამბაქოს“ გენერა-



ლური დირექტორი ზვიად მუკბანიანი აცხადებს, რომ საქართველოში არ არის იმ რაოდენობის და ხარისხის თამბაქოს ნედლეული, რომ თამბაქოს მსხვილმა კომპანიებმა ჩაიბარონ. მისი განცხადებით, ბაზარზე მოთხოვნა არსებობს, თუმცა, ქართველი ფერმერი საერთაშორისო სტანდარტების მქონე თუთუნს ვერ აწარმოებს.

მუკბანიანის განცხადებით, კომპანია „თბილიის თამბაქო“ დაინტერესებულია საქართველოში განვითარდეს იმ სტანდარტის თუთუნის წარმოება, რომელიც იმპორტირებულ ნედლეულს ჩაანაცვლებს და ამას სავარაუდოდ, სახელმწიფოც შეუწყობს ხელს, სპეციალური პროგრამებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ თამბაქოს ინდუსტრიის ხელშეწყობა ამ დროისთვის სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი არ არის, თუმცა, დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია აგროკრედიტის მეშვეობით სესხი აიღოს, რასაც თამბაქოს წარმოებისთვის მიმართავს.

როგორც ცნობილია, 1990 წლამდე საქართველო ყოვეწლიურად აწარმოებდა 14-15 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეულს, აქედან მხოლოდ ლაგოდეხის რაიონი აწარმოებდა 7-8 ათას ტონას. აღნიშნული სექტორისგან რაიონის ბიუჯეტი და მოსახლეობა დიდ შემოსავალს ღებულობდა.

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატებად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო საზოგადოებებმა:

| კანდიდატის გვარი, სახელი | სპეციალობა, ვაკანსია |
|---|---|
| **მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება** | |
| | ფიზიკა - 1 ვაკანსია |
| 1. ნესრესიანი ალექსანდრე | |
| 2. ხელაშვილი ანზორ | |
| 3. შეყრილაძე ირაკლი | |
| 4. კვინიხიძე ალექსანდრე | |
| 5. კახნიაშვილი თინათინ | |
| | ექსპერიმენტული ფიზიკა - 1 ვაკანსია |
| 1. ხუბუა ჯემალ | |
| 2. გერასიმოვი ალექსი | |
| 3. ნიორაძე მიხეილ | |
| 4. შენგელაია ალექსანდრე | |
| 5. კეკელიძე ნოდარ | |
| **გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება** | |
| | სამთო მეცნიერება - 1 ვაკანსია |
| 1. ჯაფარიძე ლევან | |
| 2. მახარაძე ლეონ | |
| | მანქანათა მექანიკა - 1 ვაკანსია |
| 1. ნატრიაშვილი თამაზ | |
| 2. თავხელიძე დავით | |
| 3. ქაშაკაშვილი გურამ | |
| | საგზაო-სატრანსპორტო სისტემები - 1 ვაკანსია |
| 1. შილაკაძე თამაზ | |
| 2. გელაშვილი ოთარ | |
| **დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| | გეოგრაფია - 1 ვაკანსია |
| 1. გაჩეჩილაძე რევაზ | |
| 2. წერეთელი ემილ | |
| **ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება** | |
| | მორფოლოგია (ადამიანის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ჰისტოლოგია) -1 ვაკანსია |
| - ხეცურიანი რამაზ | |
| | ფიზიოლოგია, ბიოქიმია -1 ვაკანსია |
| 1. ალექსიძე ნუგზარ | |
| 2. ბექაია გურამ | |
| 3. ლაბახუა თამაზ | |
| 4. ფაღავა ყარამან | |
| 5. ქევანიშვილი ზურაბ | |
| **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება** | |
| | მცენარეთა დაცვა -1 ვაკანსია |
| - ალექსიძე გურამ | |
| **ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| | პოპულაციური გენეტიკა - 1 ვაკანსია |
| - შენგელია რამაზ | |
| | პალეობიოლოგია - 1 ვაკანსია |
| - ლორთქიფანიძე დავით | |
| **საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| | პოლიტოლოგია, ფილოსოფია - 1 ვაკანსია |
| 1. გოგიაშვილი ომარ | |
| 2. ფირალიშვილი ზაზა | |
| 3. მახარაძე მიხეილ | |
| 4. დოლიძე მამუკა | |
| 5. რამიშვილი ვალერიან | |
| 6. კურატაშვილი ალფრედ | |
| | დემოგრაფია - 1 ვაკანსია |
| 1. ლორთქიფანიძე ვაჟა | |
| 2. სულაბერიძე ავთანდილ | |
| **ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება** | |
| | ენა, ლიტერატურა, კულტურა - 1 ვაკანსია |
| 1. მაჭავარიანი ელენე | |
| 2. სიგუა სოსო | |
| 3. ჩუხუა მერაბ | |
| 4. გაბიძაშვილი ენრიკო | |
| 5. მერაბიშვილი ინესა | |
| 6. ჩანტლაძე იზოლდა | |
| 7. ალიბეგაშვილი გიორგი | |
| 8. ჯაგოდნიშვილი თემურ | |
| 9. გოგოლაშვილი გიორგი | |
| 10. სულავა ნესტან | |
| 11. ხაჩიძე ლელა | |
| 12. ანდრიაძე დავით | |
| 13. მახარობლიძე თამარ | |

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე*

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვ.შემსრ., აკად. წევრ-კორ. რამაზ ხუროძე*

# ოთარ ანგურიძე: „ლარის კურსი 3-მდე არ ავა“

## „ველოდები მის გამყარებას“

ნათია ხურცილავა

**ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლარის გაუფასურების მიზეზებზე საუბრობს.**

***— ბატონო ოთარ, ლარის დღევანდელი მდგომარეობა რითი არის განპირობებული? რა იწვევს ეროვნული ვალუტის ასეთ რყევებს?***

— ეროვნული ვალუტის ასეთი რყევების გამომწვევი მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს. ჩვენი ეკონომიკა ძლიერი რომ იყოს, ასეთ მოკლე პერიოდში ასეთი მზარდი რყევები არ გვექნებოდა. შესაბამისად, ძლიერი ეკონომიკა რომ არ გვაქვს, სოციალური ფონი ცუდია. ამიტომ, ლარის ყოველი გაუფასურება მოსახლეობას მძიმედ აწევს, რადგან სხვადასხვა პროდუქციაზე ფასები იზრდება, ეს კი სოციალურ მდგომარეობას ამძიმებს.

***— თუ ძალიან მწირია ჩვენი ეკონომიკა, მაშინ საერთაშორისო ფაქტორები, დიდი ეკონომიკა, როგორ ახდენს გავლენას ამ მცირე ეკონომიკაზე?***

— სწორედ მცირე რომ არის, იმიტომ ახდენს. ჩვენ ძალიან დიდად ვართ დამოკიდებული სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე. მხედველობაში მაქვს ძალიან დიდი იმპორტი, რომელიც იზრდება. ამ ნაწილში ექსპორტიც იზრდება, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც იმპორტი. ამიტომ, როდესაც პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაში ხდება რაღაც, ის იმ წუთში აისახება ჩვენს ეკონომიკაზეც.

***— ეროვნული ბანკის როლი რამდენად არის განმსაზღვრელი? თუ მაინც მთავარი მთავრობის პოლიტიკაა?***

— ამ შემთხვევაში გადამწყვეტი და მთავარი როლი, პასუხისმგებლობასთან ერთად, ეროვნულ ბანკს აკისრია. ეს კონსტიტუციითაც ასეა განსაზღვრული. როდესაც ქვეყანაში ფინანსური რისკები იქმნება, მაშინ მყისიერი გადაწყვეტილების მიღება სწორედ ეროვნულ ბანკს მართებს. თუმცა, ბოლო პერიოდის მოვლენებს თუ მივადევნებთ თვალყურს, ვნახავთ, მთავრობას აქვს ბერკეტი, რომ ეროვნულ ბანკზე გავლენა მოახდინოს.

***— როგორ?***

— ამ შემთხვევაში ჭარბვალიანობის ნაწილზე ვსაუბრობ. ეროვნული ბანკი არასდროს აღიარებდა, რომ ეს პრობლემა იყო, სანამ მთავრობის მეთაურმა არ განაცხადა, რომ ეს პრობლემა არის.

როდესაც ითქვა, რომ ჭარბვალიანობა ქვეყანაში ცუდ სოციალურ ფონს ქმნის, მაშინ ეროვნულმა ბანკმა ამ პრობლემის მოგვარებაზე დაიწყო ზრუნვა. ეს გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას გამბედაობა არ ჰყოფნის, თავად მიიღოს გადაწყვეტილებები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ეროვნულ ბანკს არ უნდა სჭირდებოდეს გარედან კარნახი, რა პრობლემაა ამ სფეროში.

***— რამდენად დიდი პრობლემაა ჭარბვალიანობა?***

— ზოგადად, ჭარბვალიანობა საფინანსო სისტემის სენად იქცა 21-ე საუკუნეში. მხოლოდ ჩვენთან არ არის ეს პრობლემა. 2008 წლის კრიზისიდან გამოსვლაზე ზრუნვა ყველა სახელმწიფომ დაიწყო. მსოფლიო კრიზისის მთავარ მიზეზად სწორედ ჭარბვალიანობა დასახელდა. 2008 წლიდან 10 წელია გასული და ჩვენმა ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ 2018 წელს გადადგა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები.

კარგია, რომ კრედიტების გაცემა შეიზღუდა, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი. შემოსავლების დადასტურების აუცილებლობა გაჩნდა ამ ნაწილში, რაც კარგია, მაგრამ ეს პროცესი ერთჯერადი არ უნდა იყოს და მუდმივი მეთვალყურეობა არის საჭირო. თუ საჭირო იქნება, დამატებითი ზომები უნდა გატარდეს, რათა ეს პრობლემა ქვეყანაში დასრულდეს.

***— დამატებითი ზომები რა შეიძლება იყოს? უფრო მკაცრი რეგულაციები?***

— დიახ, უფრო მკაცრი რეგულაციები. ჭარბვალიანობის პრობლემა მხოლოდ მოსახლეობის პრობლემა არ არის, ეს ბანკების პრობლემაც არის. ბევრია გასაკეთებელი, რომ მოსახლეობაც დაცული იყოს და საფინანსო სექტორიც.

***— ბატონო ოთარ, ლიბერალები ალბათ შეგეწინააღმდეგებიან, როდესაც ადამიანს უნდა სესხის აღება, რომ მას ამის შესაძლებლობა არ ჰქონდეს ან მკაცრი რეგულაციის ქვეშ მოექცეს. რას უპასუხებთ ამ ადამიანებს?***

— ეს ადამიანები ფულს რამდენად მისცემენ იმას, ვისაც ამ ვალის დაბრუნების შესაძლებლობა არ აქვს და ეს წინასწარ იციან?! როგორ შეიძლება ამ ნაწილში ვინმეს ჰქონდეს პრეტენზია, როდესაც ფაქტია, რომ თვითონ არ მოიქცევა ისე, როგორც ამას სხვას სთხოვს.

მხოლოდ მომხმარებელი არ არის დასაცავი, დასაცავია საფინანსო სექტორიც. ამიტომ, ეროვნულ ბანკს გონიერება მართებს, რომ გაატაროს ისეთი რეგულაციები, რომ



არც ერთი მხარე არ დაზარალდეს. ამ რეგულაციებმა ფინანსური სექტორის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

***— რამდენად იზიარებთ პროგნოზს, რომ შეიძლება 1 დოლარი 3 ლარი გახდეს?***

— არა, მე ამ პროგნოზს ვერ დავეთანხმები. ეს, ალბათ, უფრო პოლიტიკურად ანგაჟირებული მესიჯებია, წინასაარჩევნოდ გაკეთებული. პირიქით, არსებული მონაცემებით, მე მეტ გაუფასურებას არ ველი. თუ რამე ხელოვნური ჩარევა არ მოხდა, არსებული სიტუაცია იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ ეროვნული ვალუტა ეტაპობრივად გამყარდება და წონასწორობის ნიშნულს დაუბრუნდება.

***— წინასაახალწლო პერიოდში?***

— თუნდაც წინასაახალწლო პერიოდში. ამ დროს საკმაოდ აქტიურია ვაჭრობა და ეს, პირიქით, ხელს შეუწყობს ვალუტის დასტაბილურებას. ამიტომ მე პესიმისტურ პროგნოზებს არ ვვარაუდობ. მიმდინარე პერიოდში იმდენად დიდია შემოდინებები, რომ მე, პირიქით, დადებითი მოლოდინები მაქვს, ვიდრე უარყოფითი.

***— იანვრიდან პენსიები 20 ლარით იზრდება. ეს რამდენად იქონიებს ლარის კურსზე გავლენას?***

— დიდია რისკი, რომ ამან ლარის გაუფასურებაზე გავლენა იქონიოს. ალბათ, უფრო მეტი მობილიზება მოუწევს ეროვნულ ბანკს, რომ მზად შეხვდეს ამ გამოწვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ინფლაციაც და მაღალი ფასებიც მივიღოთ, რაც მოსახლეობაზე უფრო ცუდად იმოქმედებს.

ამიტომ, ძალიან ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი, რომ მოსახლეობა დავიცვათ ყოველივე ამისგან. 20 ლარი არ არის ისეთი თანხა, რომ დიდი გავლენა მოახდინოს, მაგრამ რისკი მაინც არის.

# კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2018 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით 607.6 მლნ ლარით (2.5 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.8 პროცენტით) და მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 24.8 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 190.7 მლნ ლარით (1.8 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 416.9 მლნ ლარით (3.1 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.7 პროცენტით).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2018 წლის სექტემბრის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 3.3 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 9.9 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 7.6 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 3.1 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე – 1.8 პროცენტით მეტი).

2018 წლის სექტემბრის განმავლობაში 1.6 პროცენტით ანუ 207.4 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 13.3 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 44.02 პროცენტი შეადგინა. პირველი სექტემბრის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების



ლარიზაცია შემცირდა 0.32 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით გაიზარდა 0.01 პროცენტული პუნქტით).

„კომერსანტი“

# ჯემალ გამახარია: „რუსული ეკლესია ისევე, როგორც სახელმწიფო, ყველა მიმართულებით გვიტევს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ული გაფრთხილება რუსეთის ეკლესიის მხრიდან.

***– მაინც რა გაფრთხილება?***

– ფრთხილად იყავით უკრაინის ეკლესიასთან დაკავშირებით, თორემ ასე და ასე იქნებაო.

***– ნამდვილად ასეა.***

– აბა, არძინბას მეტი ვერავინ მოხიბლა? ასე რომ, რუსული ეკლესია ისევე, როგორც სახელმწიფო, ყველა მიმართულებით გვიტევს. იმედია თავს დავიცავთ. ჩვენი პატრიარქისა და მღვდელმთავრების სიბრძნის იმედი გვაქვს. ისინი ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენ თვითონ არ გავხდეთ საბაბი რუსეთის ეკლესიისთვის, რომ მათ ღიად გადადგან (როგორც მათ სჩვევიათ) აგრესიული ნაბიჯი.

***– სხვათა შორის, მაკრიტიკებლები გამოუჩნდნენ ეკლესიის წარმომადგენლებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ უკრაინის ეკლესიის აღიარება არ უნდა ვიჩქაროთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ეკლესიების გამო. რამდენად არის დამსახურებული კრიტიკა?***

– უკრაინის ეკლესია ავტოკეფალიას რომ იმსახურებს, აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. როდესაც რუსეთის საპატრიარქო ძალიან რადიკალურ ნაბიჯზე წავიდა მსოფლიო საპატრიარქოს მიმართ, მსოფლიო საპატრიარქოდან მას უთხრეს, რომ შენ თვითონ არ გაქვს ავტოკეფალიის დადასტურებაო. რუსეთს 1589 წლიდან ჰყავს პატრიარქი. ფაქტობრივად ამ წლიდან არის რუსეთის ეკლესია ავტოკეფალური, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, მათ დღემდე არ ჰქონიათ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიას.

ამ დროს, რაც შეეხება უკრაინას, კიევის ეკლესიის სამიტროპოლიტო არ იყო ამ ავტოკეფალური ეკლესიის შემადგენელი, როდესაც ეს ავტოკეფალია გამოცხადდა. მოგვიანებით მოხდა უკრაინის ეკლესიის რუსეთის ეკლესიისთვის შეერთება, რასაც როგორც მსოფლიო საპატრიარქო, ასევე უკრაინის ეკლესია უკანონოდ მიიჩნევენ.

***– თვითონ უკრაინის ეკლესიას, სანამ რუსეთის ეკლესიას შეუერთებდნენ, ავტოკეფალია ჰქონდა მიღებული? ამის დოკუმენტები არსებობს?***

– არა, უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალია არ ჰქონდა. უკრაინის ეკლესია იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სამიტროპოლიტო. სხვათა შორის, უკრაინის მიტროპოლიტების დიდი უმრავლესობაც ბერძნები იყვნენ. ამიტომ არის არის საუბარი იმაზე, ვინ არის უკრაინის ეკლესიის დედა ეკლესია, რუსეთი, რომელიც, ფაქტობრივად, კიევის სამიტროპოლიტოში შემოდიოდა თუ კონსტანტინეპოლი, რომელიც ნიშნავდა თავის მიტროპოლიტებს და ეთნიკურადაც ბერძნები მართავდნენ კიევის სამიტროპოლიტოს რამდენიმე გამონაკლისის გარდა.

თუ უკრაინის დედა ეკლესია რუსული ეკლესიაა, რუსებს შეუძლიათ არ მისცენ ავტოკეფალია, თუ კონსტანტინეპოლია, კონსტანტინეპოლი უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალიას აძლევს. ამაზეა დავა.

***– თქვენ ადრე მითხარით, რომ რუსეთის ეკლესიას საქმე მიჰყავს ჩიხამდე, განხეთქილებამდე. ფაქტობრივად, რუსეთის ეკლესიამ განაცხადა, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან ევქარისტულ კავშირს წყვეტს. ამის იქით რა ბედი ელის რუსეთის ეკლესიას, ის იქნება განაპირებული, დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ეკლესია?***

– როგორც არის, ისე იქნება, მაგრამ მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობა არ ექნება. ეს ძალიან



ცუდია და ძალიან დიდ განხეთქილებას გამოიწვევს. არ ვიცი რუსეთს ამაში ვინ გაჰყვება და ვინ დაუჭერს მხარს, მაგრამ არა მგონია, რუსეთის გამო რომელიმე ეკლესიამ კონსტანტინეპოლთან კავშირი გაწყვიტოს. ღრმად ვარ დარწმუნებული, ამას არც საქართველოს ეკლესია გააკეთებს. შეიძლება საქართველოს ეკლესიამ გარკვეული პერიოდი თავი შეიკავოს და უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია არ აღიაროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მსოფლიო პატრიარქთან, კონსტანტინეპოლთან კავშირი არ გაწყდება.

ჩემი ღრმა რწმენით, არც ერთი ეკლესია ამას არ გააკეთებს. ვნახოთ, ძალიან რთული ვითარებაა შექმნილი მართლმადიდებლურ სამყაროში. სამწუხაროდ, რუსეთი პრობლემებს აქაც ქმნის. საბოლოო შედეგის პროგნოზი ძალიან მიჭირს, მაგრამ უკრაინის ეკლესია ავტოკეფალიას რომ იმსახურებს და ავტოკეფალიას მიიღებს, ამაში ეჭვი არ გვეპარება. ნელ-ნელა მოგვიხდება უკრაინის ეკლესიასთან კავშირის დამყარება.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ეკლესია გახდა ავტოკეფალური, კიევის სამიტროპოლიტო კიდევ ერთი საუკუნე არსებობდა, 1686 წლამდე ის კონსტანტინეპოლს ექვემდებარებოდა და არა სხვა ვინმეს. უკრაინა რომ შეუერთდა რუსეთს, შემდეგ ნელ-ნელა მოხდა უკრაინის ეკლესიის რუსეთის ეკლესიისთვის შეერთება, რასაც კონსტანტინეპოლიც და უკრაინაც არაკანონიკურად მიიჩნევდნენ.

***– რუსეთის ეკლესიამ თავისი თავი გამოაცხადა ავტოკეფალურად?***

– არა. 1589 წელს კონსტანტინეპოლმა რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა. რუსეთის პირველი პატრიარქი იყო იობი და მის კურთხევაში კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია და ანტიოქიის პატრიარქი იოაკიმე მონაწილეობდნენ. როგორც ჩანს, ყველაფერი კანონიერად მოხდა, მაგრამ დოკუმენტი დღემდე არ ჰქონია. იოაკიმე სანამ მოსკოვში ჩავიდოდა კურთხევაში მონაწილეობისთვის, მანამდე საქართველოში მსახურობდა.

***– საინტერესოა, თუ დაიხევს უკან რუსეთის ეკლესია და თუ შეურიგდება კონსტანტინეპოლის ეკლესიას?***

– ეს კითხვა, ალბათ რუსეთის პატრიარქს უნდა დაუსვას ვინმემ. მე პასუხის გაცემა მიჭირს, მაგრამ არის ერთი სერიოზული მაგრამ – დღეს რუსეთი საომარ მდგომარეობაშია უკრაინასთან. ამ ომში, ფაქტობრივად, რუსეთის ეკლესიაც მონაწილეობს. როცა შენ საკუთარ მრევლს ეომები და შემდეგ ის მრევლი მოითხოვს ავტოკეფალიას, თუ შენი მრევლია, რატომ ეომები და ტერიტორიებს რატომ ართმევ და რატომ უჭერ მხარს შენს სახელმწიფოს, რომელსაც მთელი მსოფლიო გმობს? აქ კომპლექსური პრობლემაა.

***– ასოციაცია გამიჩნდა, როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებაზე მუშაობდა მსოფლიოში, ისე ხომ არ დაიწყებს მართლმადიდებლური სამყაროს განხეთქილებაზე მუშაობას და თვითონ ცენტრად ხომ არ გამოაცხადებს თავს?***

– გინდათ თქვათ, მესამე რომის ფუნქციას ხომ არ აიღებს თავის თავზე და ამ ფუნქციის რეალიზებას ხომ არ დაიწყებს.

***– დიახ, ბატონო ჯემალ, საქმე იქამდე ხომ არ მივა, რომ რუსეთი სლავური სახელმწიფოების მიმხრობაზე დაიწყებს მუშაობას, სადაც მას გავლენები აქვს?***

– სულაც არ არის გამორიცხული. შეიძლება მან ეს ღიად არ თქვას, მაგრამ ძალიან შეეცდება, რომ ცალკეული მართლმადიდებლური ეკლესიები მიიმხროს. თუმცა, დიდი ეჭვი მეპარება იმაში, რომ ამ საკითხში რომელიმე ეკლესია მიემხრობა. ჩემი აზრით, ამ იდეას ვერ განახორციელებს.

## „დღეს თუ გამონაბოლქვია, ხვალ იქნება დაგროვილი აკუმულატორი, რომელიც ასევე პრობლემურია“

სამთავრობო გეგმას, რომელიც საქართველოში ელექტრომობილების შემოყვანას და შემდეგ ქარხნის მშენებლობას გულისხმობს, ნავთობკომპანიების წარმომადგენლები აფასებენ.

როგორც „კომერსანტთან“ „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ განაცხადა, ეს ტრენდი სწრაფად ვერ განხორციელდება და ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. მისი ვარაუდით, ამისთვის ქვეყანამ ბევრი საფეხური უნდა გაიაროს.

როგორც ხორავა განმარტავს, ეს ყველაფერი ელექტროენეგიის მოხმარებას გაზრდის, რაც საბოლოო ჯამში ფასზეც აისახება.

– დღეს რატომ გადადის ელექტროენერგიაზე? ეკოლოგიურის გარდა ეკონომიურის ფაქტორია, რადგან უფრო იაფი ღირს და მომხმარებლისთვის იაფი ჯდება. თუმცა, არის ეკოლოგიური ფაქტორიც, რადგან ელექტრომანქანა ისე არ აზიანებს გარემოს, როგორც საწვავი, – აცხადებს ხორავა.

მისივე განცხადებით, ავტოპარკის ელექტრომობილებით განახლების შემთხვევაში თავს იჩენს მეორე პრობელმა – დიდი რაოდენობით აკუმულატორის უტილიზაცია რამდენად საზიანო იქნება, ან როგორ მოხდება მათი გადამუშავება. ხორავა აცხადებს, რომ ეკოლოგიის თვალსაზრისით, ესეც დიდი თავისტკივილი იქნება.

– დღეს თუ გამონაბოლქვია, ხვალ იქნება დაგროვილი აკუმულატორი, რომელიც ასევე პრობლემურია. რაც შეეხება ჩვენს ხედვას, კომპანია „ვისოლი“ ხელს უწყობს ამ მიმართულებას და აქვს კიდეც ქალაქში რამდენიმე დამტენი სადგური. ახლა ვამატებთ სწრაფ დამტენებს, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი მანქანას 30 წუთში დატენის, – აცხადებს ხორავა.

მისივე შეფასებით, ძალიან რთულია გათვალო რა იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა, „ვისოლი“ საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად მორგება და ალტერნატიულ გზას იპოვის.

– 2006-2007 წლებში როდესაც გაზის ინფრასტრუქტურის გაკეთება მოხდა, ესეც ეკოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარე იყო. დღეს ჩვენს კონკურენტებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაზის ქსელი გაგვაჩნია. ასევე იქნება ელექტრომანქანების შემთხვევაშიც, – აცხადებს ხორავა. რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა ელექტრომობილების განვითარებას საქართველოში პერსპექტივა, ხორავა აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში 100 პროცენტით ვერ განახლდება ავტოპარკი, თუმცა, გარკვეული დოზით, საწვავი შეიძლება ჩაანაცვლოს.

– მე მხარს ვუჭერ დივერსიფიკაციას, როდესაც მომხმარებელს შეეძლება აირჩიოს გაზზე ჰყავდეს მანქანა, საწვავზე თუ ელექტრომობილით იმოძრაოს. სწორი მიდგომაა, რომ არცერთი პროდუქტის მწარმოებელმა არ იგრძნოს პრიორიტეტულად თავი და ამიტომ არ იყოს სპეკულაციური ფასები. მაშინ, როდესაც მარტო ნავთოპროდქტებზე იყო დამოკიდებულება, ვნახეთ, რომ ხანდახან 1 ბარელი 100 დოლარზე მეტი ღირდა. ასე რომ, ენერგოპროდუქტების დივერსიფიკაცია იძლევა საშუალებას, რომ ფასი დაბალანსდეს, – აცხადებს ხორავა.

ლუკოილ ჯორჯიას გენერალური დირექტორის მოადგილე შავლეგ მიშველაძე განმარტავს, რომ ეს ბიზნესი და მიმართულება მომავლის პერსპექტივაა და ამაზე ახლა დეტალურად საუბარი რთულია. თუმცა, როგორც მიშველაძე აღნიშნავს, ადამიანი რასაც არ უნდა წარმოადგენდეს და რასაც არ უნდა ქმნიდეს, ვალდებულია, შვილების მომავალზე იზრუნოს. მისი შეფასებით, თუ ელექტრომობილების რაოდენობა ქვეყანაში ჭარბად იქნება წარმოდგენილი, ეს მხოლოდ კარგი იქნება, რადგან გარემოზე პოზიტიურად აისახება.

– თუ ავტოპარკის 5 პროცენტი იქნება ელექტრომობილები, ეს რაციონალურად არ გამოიყურება, ხოლო თუ იქნება 50 პროცენტი, რა თქმა უნდა, რაღაცას მოვიფიქრებთ და ფეხს ავუწყობთ იმ რეალობას, რაც ქვეყანაში იქნება, – აცხადებს მიშველაძე.

როგორც ცნობილია, ქართული ოცნების თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს სურს, რომ გაზაფხულიდან ჩაატაროს ექსპერიმენტი და აბასთუმანი ელექტრომანქანების რეგიონად აქციოს. მისი თქმით, სახელმწიფოს არ აქვს საშუალება და ადგილობრივებს თვითონ დაეხმარება.

– მოვახერხებ, რომ წელსვე პრეცედენტი შეიქმნას და აბასთუმანში იმოძრავებენ მხოლოდ ელექტრომანქანები, – აღნიშნა ივანიშვილმა ინტერვიუს დროს.

მისივე თქმით, აბასთუმანში 800 ოჯახი ცხოვრობს და ზოგს უყიდის ელექტრომანქანას, ხოლო ზოგს სხვა მხრივ დაეხმარება. როგორც ივანიშვილი განმარტავს, სწორად განვითარების შემთხვევაში ათი წლის შემდეგ საქართველო შეიძლება, გახდეს პირველი ქვეყანა, სადაც მხოლოდ ელექტროავტომობილები იმოძრავებენ.

ქვეყანაში ელექტრომანქანების შემოყვანაზე მწვანე პოლიტიკის პრეზენტაციის დროს ისაუბრა პრემიერმინისტრმა, მამუკა ბახტაძემაც. მისი თქმით, მომავალი ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში მოქმედი ავტოპარკი 90 პროცენტი ელექტრომობილებით შეიცვლება.

სამთავრობო გეგმის თანახმად, საქართველოში ელექტრომობილების შემოყვანა დაიწყება, ერთი წლის განმავლობაში კი 2.000-ზე მეტი ელექტრომობილი შემოვა ე.წ. საზიარო ავტომობილების პრინციპით. თბილისში ელექტროავტობუსების შემოყვანაზე ისაუბრა ქალაქის მერმა, კახა კალაძემაც. მისი თქმით, 2020 წლიდან დედაქალაქში 18-მეტრიანი 200-მდე ელექტროავტობუსი იმოძრავებს.

## ვასილ სოფრომაძე: „3 ათასი ლარის გამო დააყადაღეს მთელი ჩემი ქონება“




სუპერმარკეტების ქსელის „ფრესკოს“ დამფუძნებელი ფინანსთა სამინისტროს უპრინციპობაზე და ზეწოლაზე საუბრობს.

ვასილ სოფრომაძის თქმით, 3.000 ლარის გამო, შემოსავლების სამსახურმა უსამართლოდ, მთელი ქონება დაუყადაღა.

– უკვე ორი-სამი წელიწადია, კომპანიის მიმართ ხდება გარკვეული ქმედებები, მაგრამ სანამ მთლიანად სამართლებრივი სივრციდან არ გავიდნენ, ხმა არ ამოგვიღია. ნებისმიერი შავი პიარის დაწყებამდე, მე ვღებულობ წინადადებას კომპანიის გაყიდვის. მე ყოველთვის ვამბობ იმას, კომპანია „ფრესკო“ არ იყიდება, – ამბობს სოფრომაძე.

ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ აბსოლუტურად აბსურდული, გაუგებარი, გაუაზრებელი, არაკომპეტენტური ქმედებებით ცდილობენ კომპანიისთვის ფულის გამოძალვას.

– მე სხვანაირად ამას არ აღვიქვამ, რაზეც გადახდილი გვაქვს მილიონი ლარი, რაც უკვე გადახდილია, დამტკიცებულია, იმაზე კიდევ ერთხელ ითხოვენ გადახდას, – აცხადებს სოფრომაძე აღნიშნავს, რომ ის არ მეგობრობს ხელისუფლებებთან და არც მომავალში აპირებს ვინმესთან მეგობრობას.

– ბატონებო, სინდისი გაქვთ, „ვაფშე“ გესმით, რას ამბობთ? საერთოდ ხართ გაგებაში? გეკითხებით, თქვენ, გესმით რასაც ამბობთ? ვერაფერი ვერ მიგიღიათ და ვერაფერს ვერ მიიღებთ ჩემგან. არ მაინტერესებს, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, მე არც იმ მთავრობასთან ვმეგობრობდი და არც თქვენთან არ ვმეგობრობ და არც ვინც არ უნდა მოვიდეს, არ ვაპირებ მეგობრობას, იმიტომ, რომ ჩემი წარმატების საფუძველი, ზუსტად იმაშია, რომ მე არ ვმეგობრობ მთავრობასთან და ვიხდი გადასახადებს, გრცხვენოდეთ, – განაცხადა ვასილ სოფრომაძემ.

სოფრომაძე ამბობს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა მას მთელი ქონება 3 ათასი ლარის გამო დაუყადაღეს.

– ორი დღის უკან, მე პირადად და ჩემი კომპანია აღმოვჩნდით შავ სიაში. ორი დღის უკან დააყადაღეს მთელი ჩემი ქონება. სამი ათასი ლარის გამო, 7 წლის უკან ერთ-ერთი შესყიდვის ოპერაციიდან გამომდინარე, მილიონობით ლარის ქონება დამიყადაღეს. იმავე დღეს, ჩემი წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი იქნა საგადასახადოში ყველა დამამტკიცებელი საბუთი, რომ ოპერაცია სწორად იყო ჩატარებული და მათი შემოდავება 3 ათასი ლარის შესახებ აბსოლუტურად უსამართლოა. – განაცხადა ვასილ სოფრომაძემ.

GBC.GE

# ლაშა კვირკვაიას ადვოკატ მდინარაძის ცემისთვის 5 წელი და 10.000 ლარის გადახდა მიუსაჯეს

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-5 განყოფილების ყოფილი უფროსი ლაშა კვირკვაია დამნაშავედ ცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2015 წლის 8 ნოემბერს, კვირკვიას შეკამათება მოუვიდა ამავე განყოფილებაში მისულ ადვოკატ გიორგი მდინარაძესთან, რომელმაც მისი დაცვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვან დ.ბ.-ს იურიდიული კონსულტაცია გაუწია და დუმილის უფლების არჩევა ურჩია.



კამათის დროს ლ.კ.-მ ძალადობით გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და გ.მ-ს ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა.

როგორც თბილისის საქალაქო, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ლ.კ. დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის სახედ განუსაზღვრა ჯარიმა 12.000 ლარის ოდენობით, რაც სასჯელაღსრულების შესაბამის დაწესებულებაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმცირდა 2.000 ლარით და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა 10.000 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ბრალდების მხარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ლ.კ.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით დაადგინა და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მას ასევე 1 წლით ჩამოართვა საქმიანობის უფლება.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ ლ.კ. სასამართლო სხდომის დარბაზში დააკავეს, — აცხადებენ პროკურატურაში.

# 11 წელი ძმის მკვლელს

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ძმის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გორის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ძმის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ო.მ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 18 აპრილს, ქალაქ კასპში, ნარკოდანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ ო.მ.-ს მისი ოჯახის საცხოვრებელ სახლში შელაპარაკება მოუხდა ძმასთან — გ.მ.-სთან, რომლის დროსაც, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მას დანით ყელის არეში ჭრილობა მიაყენა.

მიღებული ჭრილობის შედეგად გ.მ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ო.მ. 2018 წლის 19 აპრილს ქ. კასპში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ო.მ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, — ნათქვამია განცხადებაში.

# გორში 9 წლის ნანა ბერიაშვილი მოკლული იპოვეს

## მისი მკვლელობის ბრალდებით 34 წლის იაგო ნებიერიძე დააკავეს

25 ოქტომბერს ღამით, 9 წლის ნანა ბერიაშვილი, რომელსაც გორში ოჯახი დილიდან ეძებდა, მოკლული იპოვეს.

ნანა ბერიაშვილი სახლიდან დღის პირველ ნახევარში, ცეკვაზე წავიდა და ამის შემდეგ მისი კვალი გაქრა.

ადამიანები, რომლებმაც ბავშვი იპოვეს, ჰყვებოდნენ, რომ გარდაცვლილს ფეხები რკინის მავთულით ჰქონდა შეკრული, თავზე კი ცელოფნის ტომარა ჰქონდა ჩამოფარებული. ისინი ამბობდნენ, რომ ბავშვი სწორედ ცელოფნის ტომრით გაგუდეს.

ადგილზე პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადები იყვნენ მობილიზებული.

მომხდარზე მუშაობა საგამოძიებო ჯგუფმა დაიწყო, რომელსაც შს მინისტრის პირველი მოადგილე კახა საბანაძე ჩაუდგა სათავეში.

ამ ჯგუფმა 26 ოქტომბერს დილით, ნანა ბერიაშვილის მკვლელობის საქმეზე დააკავა 34 წლის იაგო ნებიერიძე.

ნებიერიძე მოკლული გოგონას საცხოვრებელი სახლის პარალელურ ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, სარემონტო სამუშაოებზე იყო დასაქმებული.

მისი დაკავება ამავე სახლში მოხდა. საცხოვრებელი სახლის სარდაფში, კედელსა და იატაკზე პოლიციამ მოკლული ბავშვის სისხლის კვალი აღმოაჩინა. ცხედრის პოვნის შემდეგ, ძაღლებმა კვალი სწორედ ამ სახლისკენ აიღეს, სადაც გოგონას სისხლი აღმოჩნდა.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობაში ბრალდებულმა გოგონა ჯერ სახლის სარდაფში წამებით მოკლა, შემდეგ კი მისი ცხედარი ურიკით მდინარე ლიახვის ნაპირზე მიიტანა და დატოვა.

გოგონას ახლობლები ამბობენ, რომ ნანა ბერიაშვილი სასტიკად ნაწამებია.

— ნაწამებია, წარბთან აქვს ჩარტყმული, დალურჯებული აქვს. დაზიანებები აქვს მიყენებული ცხვირზე. ყელზე ეტყობა ჩალურჯება, ალბათ, როცა გაგუდა, მაშინ მიაყენა. ალბათ იძალადა, ბავშვს რომ არ ეთქვა, ეს ჩემი აზრია... ბებომ დაატირა, რატომ ჰქონდა შენი სურათებიო. ალბათ სიამოვნებდა ამ მანიაკს, — განაცხადა ერთ-ერთმა მეზობელმა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. მკვლელობის მოტივზე ინფორმაცია შს სამინისტროს არ გაუვრცელებია.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა საგამოძიებო ჯგუფმა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ნ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, გორში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, — ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.



***

არსებული ინფორმაციით, იაგო ნებიერიძე 14 წლის წინ, 11 წლის ბიჭის გატაცების საქმეში ფიგურირებდა.

როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიჭის დედამ, ხათუნა ბერძნიშვილმა, განუცხადა, იაგო ნებიერიძე მაშინ მათთან ავტოფარეხში მუშაობდა.

— ჩემი შვილი 14 წლის წინ გაუჩინარდა. 11 წლის იყო. ეზოდან გაიყვანეს და ახალბაღისკენ წაიყვანეს. ეს პიროვნება სწორედ ჩემი შვილის გატაცების საქმეში ფიგურირებდა.

მაშინ წერილი შემოგვიგდეს სახლში, თქვენ შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, 20 ათასი ლარი გადაიხადეთო. ჩვენ ეჭვი მივიტანეთ მასზე. მუშაობდა ჩვენს ავტოფარეხში, ჩემს შვილთან ძალიან დაახლოებული იყო. მას გატაცება ვერ დაუმტკიცდა. თუმცა, სასჯელი მოიხადა გამოძალვაზე, — აცხადებს ხათუნა ბერძნიშვილი.

გაუჩინარებული ბიჭის დედა ამბობს, რომ 14 წლის წინ მომხდარი ფაქტი დღემდე გამოუძიებელია.

— ძალიან ბევრი ვიარეთ, სხვადასხვა ისტანციებში, გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობდა. დღეს კი საერთოდ არ ვიცით, ამ საქმეს რა ბედი ეწია. ჩემი შვილი კი არ ჩანს. 20 სექტემბერს 25 წლის უნდა გამხდარიყო, — ამბობს ხათუნა ბერძნიშვილი.

***

„კურიერმა" იაგო ნებიერიძის საცხოვრებელ სახლში მისი დედა ჩაწერა. ბრალდებულის ოჯახში ამბობენ, რომ მკვლელობა იაგო ნებიერიძეს არ ჩაუდენია, თუმცა დაკავებულის დედა ადასტურებს, რომ მისი შვილი წარსულში ნასამართლევი იყო ქალზე ძალადობის ბრალდებით.

— 9 თვეა, რაც გამოვიდა. ტელეფონის წართმევაზე და ჯაჯგურის დროს ძალადობა გამოუვიდა მერე, ქალბატონი იყო ვიღაცა. ღამის 12:00 საათზე დამადგნენ თავზე და წაიყვანეს. სახლში რომ მოვიდა, რა უნდა ეთქვა, სამუშაოზე იყო. ასე თქვა, მე არაფერი დამიშავებიაო და მეც ეგრე ვიცი, რომ არაფერი დაუშავებია, — ამბობს დაკავებულის დედა.

ნუნუ ნებიერიძე ადასტურებს, რომ მის შვილს უცნობი მცირეწლოვანი ბავშვების სურათები მეხსიერების ბარათზე ჰქონდა.

— ეგ ჩიპი იქიდან ჰქონდა წამოღებული, ციხიდან, იქა რომ დაინახეთ, ის ბავშვი იყო იქა? ვიღაცა ბავშვების სურათები იყო იქა. რატო ჰქონდა და იქაო ვათხოვე ვიღაცას, ცარიელი ფლეშკა იყოო. იმდენი ტყუილები გაშუქდა, რომ პასუხს გაგებინებთ სუყველას. 7 საათზე მოვიდა სახლში. 9 წელი მოიხადა ყაჩაღობის მუხლი იყო, რა თქმა უნდა, არ გადაუკვალიფიცირეს, — ამბობს ნუნუ ნებიერიძე.

***

26 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა ნანა ბერიაშვილის საქმესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, შსს შეგნებულად არ ასაჯაროებს აღნიშნული საქმის იმაზე მეტ დეტალს, ვიდრე უკვე გაასაჯაროვა.

— გულწრფელად მინდა, გითხრათ, შეშფოთებული ვართ იმ მითქმა-მოთქმით, რაც ამ საქმის გარშემო მიმდინარეობს საზოგადოების სხვადასხვა წევრის მხრიდან.

უმორჩილესად მოვუწოდებთ საზოგადოებას, რომ პირველ რიგში, ამოვიდეთ ოჯახის ინტერესებიდან და ვინც ამ ფაქტებს აშუქებს, ასევე, ვინ რაიმე ტიპის ინფორმაციას ფლობს ამ საქმესთან დაკავშირებით, თავი შეიკავონ ისეთი ინფორმაციის გავრცელებისგან, რამაც შეიძლება, ოჯახი დააზიანოს, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

# ანა ნაცვლიშვილის მამა ლადო გრიგალაშვილის ადვოკატს უჩივლებს





თემქაზე მოკლული ანა ნაცვლიშვილის მამა მამუკა ნაცვლიშვილი აპირებს, რომ ბრალდებულის ადვოკატს, ნაირა ოტიაშვილს პირადი შეურაცხყოფისთვის უჩივლოს.

აღნიშნულის შესახებ მამუკა ნაცვლიშვილმა 26 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— მე უბრალოდ ველოდები. ჩემს ადვოკატთან გავიარე კონსულტაცია, როცა აღიარებენ, რომ ლადო გრიგალაშვილი დამნაშავეა, უნდა ვუჩივლო ნაირა ოტიაშვილს პირადი შეურაცხყოფისთვის. მიცვალებული სახლში მესვენა, როცა მან განაცხადა, რომ ნახა ბმვ-ში ვიღაც უცხო მამაკაცთან ინტიმურ კავშირში. ამის გულისთვის უნდა აგოს მან პასუხი, — განაცხადა მამუკა ნაცვლიშვილმა.

თავის მხრივ, მამუკა ნაცვლიშვილის ადვოკატმა მაია ქავთარაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ანა ნაცვლიშვილს 33 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ადვოკატის თქმით, საქმეში უკვე არსებობს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა.

— სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზით უტყუარად დადგენილია, რომ 14 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა ნამდვილად მიყენებულია სწორედ იმ დანით, რომელიც ამოღებულია და საქმეზე ნივთმტკიცებადაა ცნობილი.

გრიგალაშვილის დამცველმა ნაირა ოტიაშვილმა განაცხადა, რომ კერძო ექსპერტიზის ბიუროში შპს „ვექტორში" დანიშნული ექსპერტიზის დასკვნით აბსოლუტურად გააბათილებს ბრალდების მიერ წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას.

მე არ ვიცი, რა დასკვნის მოტანის ილუზია აქვს. ექსპერტიზის ბიუროს ბრალდების მიერ დადგენილებით დაესვა შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა ანა ნაცვლიშვილის ყელის მიდამოში მიყენებული 14 ჭრილობა, რომელიც უშუალო კავშირშია დამდგარ შედეგთან, მიყენებული იყოს სწორედ იმ დანით, რომელიც შემთხვევის ადგილიდან არის ამოღებული?

ექსპერტმა გაგვცა ამომწურავი პასუხი: გამორიცხული არ არის, რომ ეს დაზიანებები შესაძლოა მიყენებული იყოს ამ დანით.

დაცვამ ამაზე ააგო დიდი იმედები და ამბობს იმას, რომ დასკვნა კატეგორიული არ არის. ექსპერტმა კი პასუხად განაცხადა, რომ კატეგორიული დასკვნის დაწერა არ შეიძლება, როდესაც დანა ქარხნული წარმოებისაა, — განაცხადა ქავთარაძემ.

ადვოკატის თქმით, შესაძლოა, ექსპერტმა დამკვეთის სასურველი დასკვნა გასცეს.

— შესაძლოა, დამკვეთის სასურველი დასკვნა გასცეს. თუნდაც ორაზროვანი და არაზუსტი გამონათქვამებით, რაც შემდგომში ძალიან ბევრ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, — განაცხადა მაია ქავთარაძემ.

მისივე თქმით, კერძო საექსპერტო ბიურო შპს „ვექტორი" ექსპერტ ალექსანდრე გეჯაძეს ეკუთვნის.

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და ასევე დაზიანებები აღენიშნებოდა თავის არეში.

პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით ლადო გრიგალაშვილი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

# ოლეგ სენცოვი სახაროვის პრემიის ლაურეატი გახდა

უკრაინელი რეჟისორის ოლეგ სენცოვის საქმემ მსოფლიო რეზონანსი შეიძინა. სენცოვის ვაჟკაცობა დააფასეს პოლონელებმა, რომელთაც პრესტიჟული პრემია „ადამიანური ღირსებისათვის“ მიანიჭეს. ახლა უკრაინელი რეჟისორი სახაროვის სახელობის პრემიის ლაურეატიც გახდა.

ოლეგ სენცოვი ევრომაიდნის აქტიური მონაწილე იყო. მან რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია გააპროტესტა. ფსბ-მ ის დააპატიმრა. სენცოვისგან მოითხოვდნენ ევრომაიდნის დაგმობას, რაზეც მან უარი თქვა.

სენცოვს ტერორიზმის მუხლი მიუყენეს და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

— ყირიმი ოკუპირებულია! უკრაინა დამოუკიდებელი უნდა იყოს! სტეპან ბანდერა ეროვნული გმირია, — ასეთი განცხადებების გამო რუსულმა თემიდამ სენცოვი დაუნდობლად გაწირა.

სენცოვი ბრძოლას პატიმრობაშიც განაგრძობდა. მან შიმშილობა გამოაცხადა. ის არა მარტო თავის, არამედ ყველა უკრაინელი პოლიტპატიმრის გათავისუფლებას მოითხოვდა. ასეთები კი რუსეთის ციხეებში საკმაოდ არიან.

სენცოვის შეთითხნილი ბრალდებით გასამართლება დაგმეს თეთრმა სახლმა, ევროკავშირმა, მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. უკრაინელ რეჟისორს სახაროვის სახელობის პრემია მიენიჭა.

— ესაა პოლიტიზირებული გადაწყვეტილება! სენცოვზე მეტად პრემიას ნადეჟდა სავჩენკო იმსახურებდა, რომელიც ახლა უკრაინულ საპყრობილეში იმყოფება, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ.



დღეს უკრაინელი ხალხი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. პატიმრობაში მყოფი კინორეჟისორი ოლეგ სენცოვიც ფრონტის წინა ხაზზე დგას, მან რუსეთის იმპერიის წინაშე ქედი არ მოიხარა.

# ტრამპის ტელეფონს რუსები და ჩინელები უსმენენ?!



გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“ სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. თანახმად გაზეთის მტკიცებისა, პრეზიდენტ ტრამპის პირად ტელეფონს რუსეთისა და ჩინეთის სპეცსამსახურები უსმენენ.

— ეს ამერიკის კონტრდაზვერვამ დაადგინა, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი.“

ტრამპმა ეს ინფორმაცია უარყო. მან თქვა, რომ მხოლოდ სამსახურებრივი ტელეფონით სარგებლობს.

— რასაკვირველია, ჩემი პირადი ტელეფონიც მაქვს, მაგრამ მას პრაქტიკულად არ ვიყენებ, — ამბობს ტრამპი.

# ნატოს სარდლობა: ევროპაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტი უნდა გაიზარდოს



ევროპაში ნატოს ჯარების გენერალური შტაბისა და სტრატეგიული ოპერაციების მეთაური, გენერალი პეტერსი მიიჩნევს, რომ რუსეთის აგრესიის საფრთხე იზრდება.

ეს, უწინარეს ყოვლისა, ბალტიისპირეთის ქვეყნებს შეეხება.

— არსებობს ყირიმის სცენარის განმეორების საფრთხე, — ამბობს პეტერსი.

საფრთხის თავიდან ასაცილებლად გენერალმა ევროპაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაზრდა მოითხოვა:

— სხვა გამოსავალი არ არსებობს, — აცხადებს გენერალი.

# კატალონელი სეპარატისტების ლიდერები სასამართლოში გამოიძახეს



კატალონელი სეპარტისტების 18 ლიდერი სასამართლოს წინაშე წარდგება.

მათ ბრალად ედება აჯანყების მოწყობა და ესპანეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობა.

სასამართლოზე არ გამოიძახებენ სეპარატისტების ლიდერ პუჩდემონს, რომელიც დღეისთვის ბელგიაში იმყოფება.

# საბერძნეთში მიწისძვრა მოხდა

საბერძნეთის სანაპიროსთან, იონიის ზღვაში 6,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

ამის შესახებ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის სეისმოლოგიური ცენტრი იუწყება.

სტიქიის ეპიცენტრი ათენიდან 287 კილომეტრში, მიწისძვრის კერა კი 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

— ამ ეტაპზე დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. მოსახლეობამ შეგვატყობინა იმ მატერიალური ზიანის შესახებ, რომელიც შენობებს მიადგა. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზებიც, — განაცხადა კუნძულ ზაკინფის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოს ციპირასმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# დონბასელთა 75 პროცენტს უკრაინაში დაბრუნება სურს



ფრონტზე შექმნილმა უმძიმესმა სიტუაციამ დონბასის მოსახლეობის განწყობილებები განაპირობა. რეგიონიდან მიგრაცია გრძელდება. დარჩენილი მოსახლეობის უმრავლესობას კი უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნება სურს.

ისინი ყველაფერზე თანახმა არიან, მათ შორის ოლქის სტატუსის აღდგენაზეც, ოღონდაც ომი შეწყდეს.

— დონბასელთა 75%-ს უკრაინის შემადგენლობაში დაბრუნება უნდა, — იტყობინება უკრაინის სამხედრო დაზვერვა.

მოსახლეობის სურვილის აღსრულებას ეწინააღმდეგება რუსეთის საოკუპაციო არმია, რომელიც დონბასის მცირე ნაწილს ჯერჯერობით აკონტროლებს.

# წყალდიდობა კრასნოდარის მხარეში




თავსხმა წვიმების შემდეგ კრასნოდარის მხარეში წყალდიდობა დაიწყო. დანგრეულია ხიდები. რიგი დასახლებული პუნქტი წყლითაა დაფარული. რკინიგზის მუშაობა შეჩერებულია. გაჩერდა მოძრაობა ავტოტრასაზეც.

ტუაფსეს რაიონში 2 ადამიანი დაიღუპა. ერთი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

# გუგლმა 48 თანამშრომელი გაათავისუფლა




კომპანია „გუგლმა“ 48 თანამშრომელი გაათავისუფლა.

მიზეზი კოლეგების მიმართ სექსუალური ზეწოლა იყო.

— ჩვენთან დისციპლინას უდიდესი ყურადღება ექცევა. შეურიგებლები ვართ მათ მიმართ, ვინც ქცევის ნორმებს არ იცავს, — განაცხადა კომპანიის დირექტორმა პიჩაიმ.


# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ელ კლასიკო მესისა და რონალდუს გარეშე

## სტატისტიკა, ფსონები

სუპერ უქმეები ფეხბურთის მოყვარულებს – მორიგი ელ კლასიკო ელოდებათ. თუმცა, ცუდი ის არის, რომ ამ კლასიკოში ვერც ლეო მესი ითამაშებს და ავტომატურად ვერც კრიშტიანუ რონალდუ. თუმცა, ბარსელონა-რეალის ჯახს ყოველთვის აქვს დატვირთვა.

კლასიკოს გარდა ყურადღებას იქცევს ტოტენჰემისა და სიტის ჯახი პრემიერლიგაში და ნაპოლი-რომა – იტალიაში.




### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.10 | ლივერპული-კარდიფი | 1.1 | 10.0 | 26.0 |
| 27.10 | ბრაიტონი-ვულვზი | 3.1 | 3.1 | 2.45 |
| 27.10 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 2.1 | 3.3 | 3.7 |
| 27.10 | ფულემი-ბორნმუთი | 2.8 | 3.6 | 2.4 |
| 27.10 | უოტფორდი-ჰადერსფილდი | 1.73 | 3.7 | 5.0 |
| 27.10 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2.1 | 3.4 | 3.6 |
| 28.10 | ბარნლი-ჩელსი | 9.0 | 4.75 | 1.38 |
| 28.10 | კრ.პალასი-არსენალი | 4.0 | 3.9 | 1.83 |
| 28.10 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.75 | 3.75 | 4.75 |
| 29.10 | ტოტენჰემი-სიტი | 4.2 | 4.2 | 1.75 |

**ლივერპული-კარდიფი**

ლივერპული: ***ტრავმა***-ნაბი კეიტა

კარდიფი: ***ტრავმა***-ჯო რალსი, ჯუნიორ ჰოილეტი, ლი პელტიერი, ნათან მენდეს-ლიანგი

**ბრაიტონი-ვულვზი**

ბრაიტონი: ***ტრავმა***-დევი პროპერი

ვულვზი: ***ტრავმა***-არავინ

**საუთჰემპტონი-ნიუკასლი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმა***-იან ბედნარეკი

ნიუკასლი: ***ტრავმა***-კენედი, იოშინორი მუტო, კირონ კლარკი, პოლ დამერტი

**ფულემი-ბორნმუთი**

ფულემი: ***ტრავმა***-ჯო ბრიანი, ტომ კარნეი

ბორნმუთი: ***ტრავმა***-არავინ

**უოტფორდი-ჰადერსფილდი**

უოტფორდი: ***ტრავმა***-ხოსე ხოლებასი, კრისტიან კაბასელე, მარკ ნავარო, დარილ იანმაატი

ჰადერსფილდი: ***ტრავმა***-ფილიპ ბილინგი, აარონ მოი, აბდელჰამიდ საბირი, ტერენსე კონგოლო

**ლესტერი-ვესტ ჰემი**

ლესტერი: ***ტრავმა***-ვეს მორგანი, დემარაი გრეი

ვესტ ჰემი: ***ტრავმა***-კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი, ენდი კეროლი

**ბარნლი-ჩელსი**

ბარნლი: ***ტრავმა***-სტივენ ვარდი

ჩელსი: ***ტრავმა***-არავინ

**კრ.პალასი-არსენალი**

კრ.პალასი: ***ტრავმა***-კრისტიან ბენტეკე

არსენალი: ***ტრავმა***-ლოვრენ კოშიელნი

**მანჩესტერი-ევერტონი**

მანჩესტერი: ***ტრავმა***-მარკოს როხო, ჯესი ლინგარდი

ევერტონი: ***ტრავმა***-იდრისა გუეიე

**ტოტენჰემი-სიტი**

ტოტენჰემი: ***ტრავმა***-

სიტი: ***ტრავმა***-ილკაი გუნდოგანი, კლაუდიო ბრავო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 9 | 7 | 2 | 0 | 26-3 | 23 |
| 2.ლივერპული | 9 | 7 | 2 | 0 | 16-3 | 23 |
| 3.ჩელსი | 9 | 6 | 3 | 0 | 20-7 | 21 |
| 4.არსენალი | 9 | 7 | 0 | 2 | 22-11 | 21 |
| 5.ტოტენჰემი | 9 | 7 | 0 | 2 | 16-7 | 21 |
| 6.ბორნმუთი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-12 | 17 |
| 7.უოტფორდი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-12 | 16 |
| 8.ევერტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-12 | 15 |
| 9.ვულვზი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-8 | 15 |
| 10.მანჩესტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-16 | 14 |
| 11.ლესტერი | 9 | 4 | 0 | 5 | 15-15 | 12 |
| 12.ბრაიტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-13 | 11 |
| 13.ბარნლი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 14.კრ.პალასი | 9 | 2 | 1 | 6 | 5-11 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-14 | 7 |
| 16.საუთჰემპტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-14 | 6 |
| 17.კარდიფი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-19 | 5 |
| 18.ფულემი | 9 | 1 | 2 | 6 | 11-25 | 5 |
| 19.ჰადერსფილდი | 9 | 0 | 3 | 6 | 4-18 | 3 |
| 20.ნიუკასლი | 9 | 0 | 2 | 7 | 6-14 | 2 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.10 | ხირონა-რაიო | 1.8 | 3.8 | 4.33 |
| 27.10 | ბილბაო-ვალენსია | 2.55 | 3.25 | 2.87 |
| 27.10 | ლევანტე-ლეგანესი | 2.15 | 3.3 | 3.5 |
| 27.10 | სელტა-ეიბარი | 2.2 | 3.3 | 3.4 |
| 27.10 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1.52 | 4.2 | 7.0 |
| 28.10 | ხეტაფე-ბეტისი | 2.45 | 3.0 | 3.2 |
| 28.10 | ბარსელონა-რეალი | 2.0 | 3.75 | 3.5 |
| 28.10 | ალავესი-ვილიარეალი | 3.1 | 3.2 | 2.4 |
| 28.10 | სევილია-უესკა | 1.25 | 5.8 | 12.0 |

**ხირონა-რაიო**

ხირონა: ***ტრავმა***-ალექს გრანელი

რაიო: ***ტრავმა***-ალვარო მედრანი, გორკა ელუტონდო

**ბილბაო-ვალენსია**

ბილბაო: ***ტრავმა***-ბენატ ეჩებერია

ვალენსია: ***ტრავმა***-გონსალო გუედეში

**ლევანტე-ლეგანესი**

ლევანტე: ***ტრავმა***-ნიკოლა ვუკჩევიჩი, კოკე

ლეგანესი: ***ტრავმა***-არავინ

**სელტა-ეიბარი**

სელტა: ***ტრავმა***-მაქსი გომესი, ნესტორ არაუჯო, მატიას იენსენი

ეიბარი: ***ტრავმა***-პაულო ოლივეირა, გონსალო ესკალანტე

**ატლეტიკო-სოსიედადი**

ატლეტიკო: ***ტრავმა***-არავინ

სოსიედადი: ***ტრავმა***-ხოსება ზალდუა, მიკელ მერინო, ტეო ერნანდესი

**ხეტაფე-ბეტისი**

ხეტაფე: ***ტრავმა***-დაკომან ჯენე, ფრანსისკო პორტილიო

ბეტისი: ***ტრავმა***-ხოაკინი, ანდრეს გუარდადო

**ბარსელონა-რეალი**

ბარსელონა: ***ტრავმა***-ლეო მესი, ტომას ვერმალენი, სამუელ უმტიტი

რეალი: ***ტრავმა***-დანი კარვახალი

**ალავესი-ვილიარეალი**

ალავესი: ***ტრავმა***-ადრიან მარინი

ვილიარეალი: ***ტრავმა***-ვიქტორ რუისი

**სევილია-უესკა**

სევილია: ***ტრავმა***-მაქსიმ გონალოსი, იბრაჰიმ ამადუ

უესკა: ***ტრავმა***-ლუიზინიო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 5 | 3 | 1 | 23:11 | 18 |
| 2.ესპანიოლი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:7 | 17 |
| 3.ალავესი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| 4.სევილია | 9 | 5 | 1 | 3 | 20:12 | 16 |
| 5.ატლეტიკო | 9 | 4 | 4 | 1 | 10:5 | 16 |
| 6.ვალიადოლიდი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:6 | 15 |
| 7.რეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| 8.ლევანტე | 9 | 4 | 1 | 4 | 14:15 | 13 |
| 9.სოსიედადი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| 10.ხეტაფე | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 12 |
| 11.ბეტისი | 9 | 3 | 3 | 3 | 5:7 | 12 |
| 12.ეიბარი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| 13.სელტა | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| 14.ვალენსია | 9 | 1 | 7 | 1 | 7:8 | 10 |
| 15.ხირონა | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | 10 |
| 16.ვილიარეალი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| 17.ბილბაო | 8 | 1 | 5 | 2 | 10:14 | 8 |
| 18.ლეგანესი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| 19.რაიო | 8 | 1 | 2 | 5 | 8:17 | 5 |
| 20.უესკა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:20 | 5 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.10 | მაინცი-ბაიერნი | 12.0 | 6.0 | 1.24 |
| 27.10 | ჰანოვერი-აუგსბურგი | 2.55 | 3.4 | 2.7 |
| 27.10 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.42 | 4.8 | 7.0 |
| 27.10 | ფორტუნა-ვოლფსბურგი | 3.0 | 3.3 | 2.35 |
| 27.10 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 1.6 | 3.75 | 4.8 |
| 28.10 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 3.2 | 3.4 | 2.2 |
| 28.10 | ლაიპციგი-შალკე | 1.85 | 3.75 | 4.0 |

**მაინცი-ბაიერნი**

მაინცი: ***ტრავმა***-ნიკო ბუნგერტი, გერიტ ჰოტლმანი

ბაიერნი: ***ტრავმა***-კორენტინ ტოლისო, კინგსლი კომანი

**ჰანოვერი-აუგსბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმა***-არავინ

აუგსბურგი: ***ტრავმა***-ჯი დონგვონი

**დორტმუნდი-ჰერტა**

დორტმუნდი: ***ტრავმა***-მანუელ აკანჯი, მარსელ შმელცერი

ჰერტა: ***ტრავმა***-ნიკლას შტარკი, მარკო გრუიჩი, ჯორდან ტორუნარიგა

**ფორტუნა-ვოლფსბურგი**

ფორტუნა: ***ტრავმა***-ნიკო გისელმანი, ანდრე ჰოფმანი

ვოლფსბურგი: ***ტრავმა***-იგნასიო კამაჩო

**ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმა***-არავინ

შტუტგარტი: ***ტრავმა***-დენის აოგო, ანასტასიოს დონისი

**ნიურნბერგი-აინტრახტი**

ნიურნბერგი: ***ტრავმა***-ტიმ ლეიბოლდი

აინტრახტი: ***ტრავმა***-ანტე რებიჩი, კარლოს სალსედო

**ლაიპციგი-შალკე**

ლაიპციგი: ***ტრავმა***-არავინ

შალკე: ***ტრავმა***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 8 | 6 | 2 | 0 | 27:8 | 20 |
| 2.გლადბახი | 8 | 5 | 2 | 1 | 19:9 | 17 |
| 3.ვერდერი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:8 | 17 |
| 4.ბაიერნი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:9 | 16 |
| 5.ლაიპციგი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:9 | 15 |
| 6.ჰერტა | 8 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| 7.აინტრახტი | 8 | 4 | 1 | 3 | 19:12 | 13 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:13 | 10 |
| 9.აუგსბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:13 | 9 |
| 10.მაინცი | 8 | 2 | 3 | 3 | 4:8 | 9 |
| 11.ვოლფსბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:14 | 9 |
| 12.ფრაიბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| 13.ლევერკუზენი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:15 | 8 |
| 14.ნიურნბერგი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:19 | 8 |
| 15.ჰანოვერი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:16 | 6 |
| 16.შალკე | 8 | 2 | 0 | 6 | 5:11 | 6 |
| 17.შტუტგარტი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:17 | 5 |
| 18.ფორტუნა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:18 | 5 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.10 | ატალანტა-პარმა | 1.36 | 5.0 | 8.5 |
| 27.10 | ემპოლი-იუვენტუსი | 11.0 | 5.8 | 1.27 |
| 27.10 | ტორინო-ფიორენტინა | 2.5 | 3.3 | 2.9 |
| 28.10 | სასუოლო-ბოლონია | 1.95 | 3.3 | 4.2 |
| 28.10 | კალიარი-კიევო | 1.63 | 3.8 | 5.8 |
| 28.10 | ჯენოა-უდინეზე | 2.1 | 3.3 | 3.7 |
| 28.10 | სპალი-ფროზინონე | 1.78 | 3.6 | 4.8 |
| 28.10 | მილანი-სამპდორია | 1.55 | 4.33 | 5.8 |
| 28.10 | ნაპოლი-რომა | 1.78 | 3.9 | 4.33 |
| 29.10 | ლაციო-ინტერი | 2.37 | 3.4 | 3.0 |

**ატალანტა-პარმა**

ატალანტა: ***ტრავმა***-მარკო ტუმინელო

პარმა: ***ტრავმა***-ემანუელ კალაიო, ჟერვინიო

**ემპოლი-იუვენტუსი**

ემპოლი: ***ტრავმა***-არნელ იაკუპოვიჩი, ლევან მჭედლიძე

იუვენტუსი: ***ტრავმა***-სამი ხედირა

**ტორინო-ფიორენტინა**

ტორინო: ***ტრავმა***-კრისტიან ანსალდი, ლიანჩო

ფიორენტინა: ***ტრავმა***-რიკარდო სოტილი

**სასუოლო-ბოლონია**

სასუოლო: ***ტრავმა***-როჯერიო, ალფრედ დანკანი, იენს ოდგაარდი

ბოლონია: ***ტრავმა***-ფედერიკო მატიელო

**კალიარი-კიევო**

კალიარი: ***ტრავმა***-დიეგო ფარიასი

კიევო: ***ტრავმა***-ჯოელ ობი, ფილიპ ჯორჯევიჩი, ფაბრიციო კაჩიატორე

**ჯენოა-უდინეზე**

ჯენოა: ***ტრავმა***-კრისტიან რომერო

უდინეზე: ***ტრავმა***-ანდრეა ბალიჩი, მამადუ კულიბალი, სვანტე ინგლესონი.ემანუელ ბადუ

**სპალი-ფროზინონე**

სპალი: ***ტრავმა***-ფელიპე, იასმინ კურტიჩი, ლაზარ ნიკოლიჩი

ფროზინონე: ***ტრავმა***-ემილ ჰალფრედსონი, ფედერიკო დიონისი

**მილანი-სამპდორია**

მილანი: ***ტრავმა***-ალენ ჰალილოვიჩი, ანდრეა კონტი, რიკარდო მონტოლივო, ივან სტრინიჩი

სამპდორია: ***ტრავმა***-ოგნიენ სტიეპოვიჩი

**ნაპოლი-რომა**

ნაპოლი: ***ტრავმა***-ვლად კირიკეში

რომა: ***ტრავმა***-დიეგო პეროტი

**ლაციო-ინტერი**

ლაციო: ***ტრავმა***-მილან ბადელი, ალექსანდრო როსი, ჯორდან ლუკაკუ

ინტერი: ***ტრავმა***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 9 | 8 | 1 | 0 | 19:6 | 25 |
| 2.ნაპოლი | 9 | 7 | 0 | 2 | 18:10 | 21 |
| 3.ინტერი | 9 | 6 | 1 | 2 | 13:6 | 19 |
| 4.ლაციო | 9 | 6 | 0 | 3 | 13:9 | 18 |
| 5.სამპდორია | 9 | 4 | 3 | 2 | 12:4 | 15 |
| 6.ფიორენტინა | 9 | 4 | 2 | 3 | 15:7 | 14 |
| 7.რომა | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| 8.სასუოლო | 9 | 4 | 2 | 3 | 15:14 | 14 |
| 9.ტორინო | 9 | 3 | 4 | 2 | 11:11 | 13 |
| 10.პარმა | 9 | 4 | 1 | 4 | 10:11 | 13 |
| 11.ჯენოა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:15 | 13 |
| 12.მილანი | 8 | 3 | 3 | 2 | 15:11 | 12 |
| 13.სპალი | 9 | 4 | 0 | 5 | 8:10 | 12 |
| 14.კალიარი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | 10 |
| 15.ატალანტა | 9 | 2 | 3 | 4 | 14:12 | 9 |
| 16.უდინეზე | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | 8 |
| 17.ბოლონია | 9 | 2 | 2 | 5 | 6:12 | 8 |
| 18.ემპოლი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:13 | 6 |
| 19.ფროზინონე | 9 | 0 | 2 | 7 | 6:24 | 2 |
| 20.კიევო | 9 | 0 | 2 | 7 | 7:24 | -1 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.10 | ანჟე-ლიონი | 3.7 | 3.5 | 2.0 |
| 27.10 | ამიენი-ნანტი | 3.0 | 3.1 | 2.5 |
| 27.10 | გენგამი-სტრასბურგი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 27.10 | მონაკო-დიჟონი | 1.7 | 4.0 | 4.4 |
| 27.10 | ლილი-კაენი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 27.10 | ტულუზა-მონპელიე | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 28.10 | რენი-რეიმსი | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 28.10 | ბორდო-ნიცა | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 28.10 | მარსელი-პსჟ | 5.5 | 4.8 | 1.5 |

**ანჟე-ლიონი**

ანჟე: ***ტრავმა***-მატეო პავლოვიჩი

ლიონი: ***ტრავმა***-ნაბილ ფეკირი, ლუკას ტოუსო

**ამიენი-ნანტი**

ამიენი: ***ტრავმა***-ქვენტინ კორენტე, ბონგანი ზუნგუ, სტივენ მენდოზა

ნანტი: ***ტრავმა***-მატ მიაზგა

**გენგამი-სტრასბურგი**

გენგამი: ***ტრავმა***-ფელიქს ებოა ებოა, მარკუს ტურამი, ნოლან როუ

სტრასბურგი: ***ტრავმა***-იდრის საადი, იონას მარტინი

**მონაკო-დიჟონი**

მონაკო: ***ტრავმა***-ჯემერსონი, ანდრეა რაგი, კევინ ნდორამი, პეტრო პელეგრი

დიჟონი: ***ტრავმა***-ჟულიო ტავარეში

**ლილი-კაენი**

ლილი: ***ტრავმა***-ხეკა

კაენი: ***ტრავმა***-ისმაილ დიომანდე

**ტულუზა-მონპელიე**

ტულუზა: ***ტრავმა***-იბრაჰიმ სანგარე, აარონ ლეია ისეკა, იაია სანოგო

მონპელიე: ***ტრავმა***-ამბროს ოიონგო, ფლორენ მოლე, კიგან დოლი

**რენი-რეიმსი**

რენი: ***ტრავმა***-არავინ

რეიმსი: ***ტრავმა***-ხავიერ გრავალერინი

**ბორდო-ნიცა**

ბორდო: ***ტრავმა***-მაქსიმ პუნდიე

ნიცა: ***ტრავმა***-პიერ მელო, ვიქქტორ მაკენგო

**მარსელი-პსჟ**

მარსელი: ***ტრავმა***-ლუკას ოკამპოსი, ლუის გუსტავო

პსჟ: ***ტრავმა***-პრენსელ კიმპემბე, ლავინ კურზავა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 10 | 0 | 0 | 37-6 | 30 |
| 2.ლილი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-8 | 22 |
| 3.მარსელი | 10 | 6 | 1 | 3 | 22-16 | 19 |
| 4.მონპელიე | 10 | 5 | 4 | 1 | 14-7 | 19 |
| 5.ლიონი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-12 | 17 |
| 6.სტ.ეტიენი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-13 | 16 |
| 7.სტრასბური | 10 | 4 | 3 | 3 | 18-14 | 15 |
| 8.ბორდო | 10 | 4 | 2 | 4 | 13-13 | 14 |
| 9.ტულუზა | 10 | 3 | 4 | 3 | 10-16 | 13 |
| 10.ანჟე | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 11.რენი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-15 | 12 |
| 12.კაენი | 10 | 2 | 5 | 3 | 10-13 | 11 |
| 13.რეიმსი | 10 | 2 | 5 | 3 | 5-10 | 11 |
| 14.ნიცა | 10 | 3 | 2 | 5 | 7-14 | 11 |
| 15.ნიმი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-18 | 10 |
| 16.დიჟონი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 17.ამიენი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-18 | 10 |
| 18.ნანტი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-16 | 9 |
| 19.მონაკო | 10 | 1 | 3 | 6 | 10-15 | 6 |
| 20.გენგამი | 10 | 1 | 3 | 6 | 6-18 | 6 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# საქართველო ნოემბრის ტესტებისთვის საფრანგეთში შეიკრიბება

10 ნოემბერს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ქალაქ ფლორენციაში, „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე იტალიას ერკინებიან, რის შემდეგაც „თიბისი რაგბის სერიები“ თბილისში გაგრძელდება. 17 ნოემბერს სამოას „ავჭალაზე“, ხოლო 24 ნოემბერს ტონგას „მიხეილ მესხზე“ დავუხვდებით.

„ბორჯღალოსნების“ 34-კაციანი შემადგენლობა საფრანგეთში შეიკრიბება, საიდანაც 10 ნოემბრის მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე იტალიაში ჩავა. დიდი 10-ის, ზე-რაგბის, ტოპ 14-ის და ინგლისური პირველობის კლუბების მოთამაშეები საფრანგეთისკენ გეზს შაბათს აიღებენ, სადაც მათ ევროპის წამყვან კლუბებში მოთამაშე „ბორჯღალოსნებიც“ შეუერთდებიან.



მომავალ თამაშებს „ბორჯღალოსნები“ რამდენიმე ლიდერის გარეშე ხვდებიან. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ კოტე მიქაუტაძე, დავით კაჭარავა, კარლენ ასიეშვილი, გიორგი ნემსაძე, ვიტო კოლელიშვილი, კოკი თხილაიშვილი, მირიან მოდებაძე და გუგა შენგელია. სერიებზე ჰეიგი აპირებდა ასევე 20-წლამდელთა ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის, სანდრო სვანიძის გამოძახებასაც, მაგრამ სამწუხაროდ, მასაც ტრავმა აქვს. ტრავმის გამო შეკრებაზე ასევე არ იქნება პირველი ქართველი ცენტურიონი მერაბ კვირიკაშვილი.

სამაგიეროდ, ფრანგულ შეკრებაზე 4 ისეთი მორაგბე იქნება, რომელთაც „ბორჯღალოსნების“ კვართით ჯერ არ უთამაშიათ — გურამ გოგიჩაშვილი, თედო აბჟანდაძე, ბექა გიგაშვილი და გრიგორ ქერდიყოშვილი.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

უკანა ხაზი: სანდრო თოდუა, გიორგი აფციაური, სოსო მათიაშვილი, ანზორ სიჭინავა, ლაშა მალაღურაძე, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, გიორგი კვესელაძე, გიორგი კოშაძე, ზურაბ ძნელაძე, ლაშა ხმალაძე, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბეგაძე, ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე;

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, ზურაბ ჟვანია, გურამ გოგიჩაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, ბადრი ალხაზაშვილი, დუდუ ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა, ბექა გიგაშვილი, ლაშა ლომიძე, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, შალვა სუთიაშვილი, ბექა ბიწაძე, ოთარ გიორგაძე, საბა შუბითიძე, ბექა გორგაძე, გიორგი ცუცქირიძე.

# ასტროპროგნოზი



## 27 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **კურო** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **ტყუპები** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **კირჩხიბი** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **ლომი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ქალწული** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **სასწორი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ღრიანკალი** — თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ.**მშვილდოსანი** — საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **თხის რქა** — წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **მერწყული** — თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **თევზები** — შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ.

## 28 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — შესაძლოა, თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ ან ახალი, საინტერესო სამსახური შემოგთავაზონ. ერთსაც და მეორესაც უყოყმანოდ დათანხმდით. **კურო** — ენერგიულად ხართ. ნებისმიერ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **ტყუპები** — ყველაზე რთულ სიტუაციასაც კი თქვენ სასარგებლოდ იყენებთ. დღეს, სავარაუდოდ, სანუკვარი ოცნება აგიხდებათ. **კირჩხიბი** — პარტნიორის თავქარიანობა განხეთქილების მიზეზი გახდება. ეცადეთ, კეთილგონიერება გამოიჩინოთ და სკანდალს თავი აარიდოთ. **ლომი** — იაქტიურეთ. იღბლიანი დღეა. თქვენი ავტორიტეტი იზრდება. პასუხისმგებლობა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება უფროსობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ქალწული** — კეთილისმყოფელი დღეა ფინანსური ოპერაციებისათვის. ვარსკვლავები წარმატებულ საქმიანობას გიწინასწარმეტყველებენ.**სასწორი** — ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციების აყოლა არ გარგებთ. საქმე გაანაწილეთ. ნუ გადაიღლებით.**ღრიანკალი** — გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. თავი ხელში აიყვანეთ და თქვენს განცდებს სხვას ნუ მოახვევთ. ძველი საქმეები დღეს დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** — თქვენს ნიჭსა და უნარს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** — ნევროზული განწყობა პიკს აღწევს. ისწავლეთ ემოციების მართვა. დაფიქრდით, ყოველთვის მართალი ხართ? **მერწყული** — გონება იმარჯვებს გრძნობებზე. ჩანაფიქრის რეალიზებას იოლად მოახერხებთ. ზუსტი და სხარტი აზროვნება თქვენი კეთილდღეობის გარანტია. **თევზები** — უსიამოვნო სიურპრიზების ალბათობა დიდია. ახალი იდეების და გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ჩინელ ქალს ტელეფონმა თითები გაუშეშა



ჩინეთის ხუნანის პროვინციის ქალაქ ჩანშას მცხოვრებ ქალს რამდენიმე დღის განმავლობაში მობილური ტელეფონი ხელიდან არ გაუგდია, რის შედეგადაც თითები გაუშეშდა და მათ მოხრას ვეღარ ახერხებდა.

პრობლემები მას შემდეგ დაეწყო, როდესაც ქალმა ერთკვირიანი შვებულება აიღო. მთელი ამ დროის მანძილზე, მას ტელეფონი ხელიდან არ გაუგდია, მხოლოდ დაძინების დროს უშვებდა ხელს. რამდენიმე დღის შემდეგ მას მარჯვენა ხელის მტევანი ასტკივდა, ხოლო თითები, რომლითაც ტელეფონი ეჭირა, გაუშეშდა. ის იძულებული გახდა, ექიმისთვის მიემართა.

ქალს ტენოსინოვიტი დაუდგინეს — მყესების ანთება. სათანადო მკურნალობის შემდეგ თითების მოძრაობა აღუდგა. იმისთვის, რომ ასეთი სიტუაცია აღარ გაუმეორდეს, ექიმებმა ქალს დროდადრო ტელეფონის გვერდით გადადება და ხელისთვის დასვენების საშუალების მიცემა ურჩიეს.

# მეთევზემ 10 ათასდოლარიანი თევზი დაიჭირა

მეთევზემ ავსტრალიის ქალაქ დარვინიდან ვერ შენიშნა, რომ მის ანკესზე წამოეგო თევზი, რომელშიც 10 ათასი ავსტრალიური დოლარის მიღება შეეძლო.

ბეზილ ტე აჰომ ზღვის თეთრი ოკუნი (ბარამუნდი) ოქტომბრის დასაწყისში დაიჭირა. თევზი ორი კვირა მისი მაცივრის საყინულეში იდო, სანამ მისგან სადილის გაკეთება არ გადაწყვიტა. მხოლოდ მაშინ შენიშნა მეთევზემ მასზე პატარა წითელი ნიშანი წარწერით „31 მარტი 2019 წელი“.



ის მაშინვე მიხვდა, რომ მის ანკესზე წამოეგო ერთ-ერთი ლატარიის თევზი, რომლებსაც ოთხი წელია ავსტრალიის ჩრდილოეთის ტერიტორიის მდინარეებში უშვებენ ტურიზმის რეკლამისთვის. თუ ერთ-ერთ მათგანს ნიშანზე მითითებულ თარიღამდე დაიჭერთ, მსხვილი თანხის მიღების შანსი გაგიჩნდებათ.

ხუთი თევზი აღჭურვილია ნიშნით, რომელიც მილიონი ავსტრალიური დოლარის მოგების შანსს იძლევა. კიდევ ას თევზს 10 ათასი დოლარის ნიშანი ადევს. გარდა ამისა, კიდევ არის 20 თევზი, რომლის დაჭერის შემთხვევაში, ხუთი ათას ავსტრალიურ დოლარს მიიღებთ, თუმცა მეთევზე ამ თანხის მხოლოდ ნახევარს მიიღებს, დანარჩენი ქველმოქმედებას მოხმარდება.

სარეკლამო კომპანიის ორგანიზატორებთან დარეკვის შემდეგ ბეზილ ტე აჰომ შეიტყო, რომ 10 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო. ის ამ თანხის ნაწილის 83 წლის მამის და სხვა ნათესავებისთვის მიცემას აპირებს, ხოლო დანარჩენს ახალ ზელანდიაში მშობლიურ ქალაქ ვაიროაში სამოგზაუროდ გამოიყენებს, რომელიც ქალაქ დარვინიდან 5400 კილომეტრითაა დაშორებული.

# აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ჯეკპოტი გათამაშდა




აშშ-ში ისტორიაში ყველაზე დიდი ჯეკპოტი 1,6 მილიარდი დოლარი გათამაშდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

როგორც მინიმუმ, ლატარიის მეგა მილიონის ერთი ბილეთი, რომელშიც ექვსივე ნომერი დაემთხვა, სამხრეთ კაროლინის შტატში გაიყიდა.

ჯეკპოტის მოგების შანსი ერთ 302,5 მილონთან იყო ან 0,00000033 პროცენტი. იღბლიანს უნდა გამოეცნო ხუთი ნომერი ერთიდან 70-მდე და ერთი ერთიდან 25-მდე. ორშაბათ დილისთვის 25 მილიონზე მეტი ლატარიის ბილეთი იყო გაყიდული. გამარჯვებულს შეუძლია ან მაშინვე გაიტანოს 904 მილიონი დოლარი, ან 30 წლის განმავლობაში მთელი თანხა ნაწილ-ნაწილ მიიღოს.

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ორი ან მეტი ადამიანი იქნება, მათ მოგებული თანხის თანაბრად განაწილება მოუწევთ.

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. ფრანგი კომიკოსი; 3. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 5. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. ოპიუმის ქართული სახელწოდება; 8. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 11. ცოდვების მიტევება კათოლიკურ რელიგიაში; 13. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 14. საათის მექანიზმი; 15. მაბეზღარა, დამსმენი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 19. ქალაქი შიდა ქართლში.

**თარაზულად:** 1. ფერთა სიუხვე, მრავალფეროვნება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი იერუსალიმის მახლობლად; 7. დიდი ბუ; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 12. ჩინური ნავთობკომპანია; 16. კინოცენტრი ინდოეთში; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 18. თევზების შემსწავლელი მეცნიერი; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. გვარლი; 2. ვეძისი; 3. ნორმა; 5. ორლი; 6. ტეხური; 8. ორფოლო; 11. ალპინიადა; 13. ჩაპლინი; 14. მაკრონი; 15. ჰიმალაი; 19. ტახო.

**თარაზულად**: 1. გლინტვეინი; 4. ვიკონტი; 7. არეშიძე; 9. მატროისი; 10. საქსი; 12. პლომბირი; 16. ჩოქბჯენი; 17. ოპუნცია; 18. ალტრუისტი; 20. დენტინი; 21. ჯილა; 22. ოქსფორდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჯულეპი; 2. ხირსა; 3. ჩხიკვი; 4. ჩუვაჩი; 6. ლალიონი; 9. ლიონი; 11. დიხაშხო; 15. ტრიპიტაკა; 16. კოდაკი; 17. დეპარდიე; 19. ომმეტრი; 21. ბოკვერი; 22. სუნამო.

**თარაზულად**: 5. იუპიტერი; 7. ალაზანი; 8. ტვენტე; 10. მირკანი; 12. ჩხუტი; 13. ვაისი; 14. აინშტაინი; 18. პრადო; 20. ჰოპერი; 23. ნუნისი; 24. კოლო; 25. ჯოკერი; 26. მოკო; 27. პროფანი.

## სოფო ხალვაში ზურაბიშვილის კამპანიაში მონაწილეობის გამო ეთერიდან მოხსნეს



საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა თავის ამომრჩეველთან სპორტის სასახლეში შეხვედრა გამართა. შეხვედრის ბოლოს ქართველმა მომღერლებმა ცნობილი სიმღერა „ჩემი საქართველო აქ არის“ შეასრულეს. თემურ თათარაშვილთან, ქუჩის ბიჭებთან, თიკა ჯამბურიასთან, მარიკა თხელიძესთან, თემურ თათარაშვილთან, პანჩოსთან, ჯგუფ „ფორტესთან“, აჩიკო ნიჟარაძესთან, სალომე ბაკურაძესთან და სხვა მომღერლებთან ერთად, სიმღერა სოფო ხალვაშმაც შეასრულა.

ამ ფაქტის გამო, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, დისციპლინური საქმის წარმოება დაიწყო. მის დასრულებამდე დილის გადაცემას მომღერალი სოფო ხალვაში აღარ წაიყვანს. ამის შესახებ ტელევიზიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

მაუწყებლის ნებისმიერ თანამშრომელს პოლიტიკური პარტიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა ეკრძალება.

## თიკა ჯამბურია: „24-საათიანი აგრესია ერთმანეთის მიმართ გვაყალიბებს მტრებად!“



მომღერალი თიკა ჯამბურია განუწყვეტელი აგრესიით შეწუხებულია და სჯერა, რომ ამდენი გინება და ლანძღვა ერთმანეთის მიმართ ზიზღს იწვევს:

– აი, რას იწვევს ამხელა ზიზღი ერთმანეთის მიმართ! გინება და ლანძღვა. ბოროტების დათესვას ხალხში. 24-საათიანი აგრესია ერთმანეთის მიმართ გვაყალიბებს მტრებად!

როგორ გვეზიზღება ერთმანეთი, წარმოიდგინეთ, როგორ გვძულს, რომ აღარც ბავშვს ინდობთ და ყველაფერზე მიდიხართ. როგორ მეცოდება საქართველო ჩვენს ხელში!

## ამბროლაურში ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი დაარსდა

ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი“ ამბროლაურში დაარსდა.



ინფორმაცია ალექსანდრე ელერდაშვილმა გაავრცელა:

– ვულოცავ მთელ საქართველოს! ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი-2018“ წარმატებით ჩატარდა ამბროლაურში და დაისახა ამ პროექტის მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელების ძალიან დიდი პერსპექტივები. დიდი მადლობა მის ორგანიზატორებს და განსაკუთრებით გურამ გორდეზიანს, რომელმაც აღნიშნულ ღონისძიებას 2004 წელს ჩაუყარა საფუძველი და წელს წარმატებით გაგრძელდა.

## სამგლოვიარო განცხადებები

დგებუაძეების საგვარეულო კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის აქტიური წევრი, ქ. ზუგდიდის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბატონი

**სოსო დგებუაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანება ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული პიროვნების, აქტიური ორგანიზატორის, აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის პროფკომიტეტის თავმჯდომარის

**იური გოგიტიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს, ნათესავებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მუშაკებსა და ახლო მეგობრებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## აჩიკო ნიჟარაძე ჟურნალისტებს მიმართავს

მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე ჟურნალისტებს მიმართავს და მათ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების ლანძღვისგან თავის შეკავებას ურჩევს:

– დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების შუქურების საყურადღებოდ!

ხომ არ გავიწყდებათ, რომ ამ ქვეყანაში, თქვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩაახშოთ ადამიანების აზრი და არ მისცეთ სხვებს სიტყვისა და არჩევანის თავისუფლება, არაფერი გამოგივათ. ჟურნალისტები, რომლებიც თავს დებთ პროფესიონალიზმზე, არ უნდა აყენებდეთ შეურაცხყოფას ყველანაირი მედია თუ სოციალური ქსელის მეშვეობით თქვენგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, ეს



მხოლოდ თქვენივე უდონობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ვემხრობოდი თქვენს აზრს, შეურაცხყოფა არც კი გამივლია აზრად. სწორედ ეს არის ჩვენ შორის განსხვავება და ძალიან მიხარია, რომ ეს თქვენ თავად გამოააშკარავეთ.

რაც შეეხება იმ საზიზღრობას, რასაც ამ დღეების განმავლობაში ჩემი და ჩემი კოლეგების მისამართით წარმოსთქვამდით, უბრალოდ სიტყვა-სიტყვით ბონუსად გიბრუნებთ უკან უკლებლივ ყველას კვადრატში აყვანილს.

იცით რასაც ვგულისხმობ, უბრალოდ არ ვახმოვანებ, საზოგადოებას ვცემ პატივს.



## გიორგი სუხიტაშვილი საარჩევნო კონცერტებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი საარჩევნო კონცერტებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. თბილისის ბიგ ბენდის სოლისტი აცხადებს, რომ წლებია ამ ტრადიციას არ არღვევს და არც მომავალში დაარღვევს:

– არ ვეპრანჭები არავის და არც ვაკრიტიკებ თუ ვინმე იღებს მონაწილეობას. ასეთივე განსხვავებებით ვირჩევთ ბევრ რამეს ცხოვრებაში და ამის გამო დედა არ უნდა ვაგინოთ და არც სხვა ნათესავი ერთმანეთს.

## საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან აცნობეს, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ და აფხაზური ენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა, პროფესორმა და აფხაზოლოგმა თეიმურაზ გვანცელაძემ, მწერალმა და ჟურნალისტმა შორენა ლებანიძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლის დირექტორებმა და აფხაზური ენის პედაგოგებმა.



საგამოფენო დარბაზში ბიბლიოთეკის ფონდში დაცული უნიკალური აფხაზურენოვანი წიგნების გამოფენა მოეწყო, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ შესრულებული აფხაზური კალიგრაფიის ნიმუშები და აფხაზურ ენაზე ნათარგმნი აფხაზეთის ლიტერატურის, ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის შესახებ გამოცემული წიგნები.

ჟურნალ „იალქანის“ რედაქტორმა ნანა ჭანტურიამ „ცა აფხაზური“ პროექტის ფარგლებში ქართულ-აფხაზურ ენაზე ჟურნალის სპეციალური გამოცემა წარადგინა.

ჟურნალისტმა ირმა ოსიამ ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სპეციალური პროგრამის ფარგლებში შექმნილი აფხაზური ენის თვითმასწავლებლი – ანიმაციური ელექტრონული სასაუბრო პროგრამის „ვისწავლოთ აფხაზური ენა – ზეპირმეტყველება“ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მუშნი ლასურიას მიერ აფხაზურ ენაზე ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი და აფხაზური ლექსები წაიკითხეს. ღონისძიების ბოლოს ანსამბლმა შავნაბადამ აფხაზური სიმღერები შეასრულა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აფხაზური ენა, ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფო ენაა. ღონისძიების მიზანი აფხაზური ენის, კულტურისა და იდენტობის შენარჩუნება და მის განვითარებაზე ზრუნვაა.

## მამაკაცმა შვიდი ჰექტარი მიწა შეიძინა, დამოუკიდებლობა და მონარქია გამოაცხადა

კუნძულ გერნსის მცხოვრებმა მას შემდეგ მოითხოვა განმარტებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ის იმ შვიდი ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის სუვენერულ მონარქად არ ცნო, რომელიც მან რამდენიმე წლის წინ შეიძინა.



2011 წელს 46 წლის სტივ ოჟიემ მიწის ნაკვეთი შეიძინა. ის იქ რამდენიმე წლის განმავლობაში ასაწყობებდა საკუთარ ნივთებს, ხოლო 2017 წელს იქ ერთსართულიანი სახლის აშენება გადაწყვიტა. გერნსის ხელისუფლება მის ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და მას მშენებლობის ნებართვა არ მისცეს, ამის მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ აღნიშნული ადგილი ადამიანების საცხოვრებლად არ იყო განკუთვნილი.

ამის პასუხად ოჟიემ საკუთარი მიწის ნაკვეთი დამოუკიდებელ სამეფოდ, სახელწოდებით ევერლენდი გამოაცხადა და მისი მეფე გახდა. შემდეგ, ახლად გამომცხვარმა მონარქმა სასამართლოს მიმართა და მოითხოვა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა აუკრძალოს.

მან საკუთარი მოთხოვნის საფუძვლად 1933 წლის მონტევიდეოს კონვენცია გამოიყენა – საერთაშორისო საბუთი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებად დადგენილია გარკვეული ტერიტორიის, საკუთარი ხელისუფლების, მუდმივი მცხოვრებლებისა და სხვა ერებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობის არსებობა. ოჟიეს აზრით, ევერლენდი ყველა ამ ზემოჩამოთვლილ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

სასამართლომ ევერლენდი არ აღიარა, მაგრამ ოჟიე ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

– მე წერილი გავაგზავნე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ახლა დადასტურებას ველოდები, – განაცხადა ოჟიემ, – მე მათ ავუხსენი, თუ ვინ ვარ და ვთხოვე მიპასუხონ, რომ ეს საკმარისია თუ არა იმისთვის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვითვლებოდე.

კუნძული გერნსი ლა-მანშის სრუტეში საფრანგეთის სანაპიროდან დაახლოებით 40 კილომეტრში მდებარეობს. ის ბრიტანეთის გვირგვინის სამფლობელოდ ითვლება, თუმცა დიდი ბრიტანეთის ნაწილს არ წარმოადგენს. გერნსის აქვს საკუთარი დომენი და ვალუტა გერნსული ფუნტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7029

ევრო — 3.0843

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4913

100 რუსული რუბლი — 4.1219

## ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისთვის




## ერნესტო ვალვერდე: „რეალი ახლა უფრო სახიფათოა“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ ბარსელონასთვის რეალთან შეხვედრა ძალიან რთული იქნება, რადგან რეალი კუთხეშია მომწყვდეული და ამიტომ ორმაგად საშიშია.

ვალვერდეს აზრით, რეალის რამდენიმე წაგება არაფერს ნიშნავს და ეს გუნდი ძალიან ძლიერია.

– რეალი ამჟამად განსაკუთრებით საშიშია, რადგან ის შეეცდება რეაბილიტაციას, ჩვენ კი მას ამის საშუალება არ უნდა მივცეთ. რეალი კვლავ ძლიერია და ჩვენ ყურადღება გვმართებს. მესის არყოფნა დიდი დანაკლისია, – განაცხადა ვალვერდემ.

ბარსელონას და რეალის შეხვედრა 28 ოქტომბერს გაიმართება.

## ალექსის სანჩესს პსჟ-ში თამაში სურს



მანჩესტერ იუნაიტედის ჩილელ ნახევარმცველ ალექსის სანჩესს იანვარში პსჟ-ში სურს გადასვლა და ერთადერთი დაბრკოლება ანაზღაურებაა, რომელიც სანჩესს უფრო მეტი სურს, ვიდრე მას პსჟ სთავაზობს.

გარდა ამისა, მანჩესტერი სანჩესში, სავარაუდოდ, დიდ თანხას მოითხოვს და ცნობილი არ არის, რამდენად სურს პსჟ-ს ამ თანხის გადახდა.

სანჩესის პსჟ-ში ტრანსფერზე ადრეც იწერებოდა, მაგრამ საბოლოოდ ალექსისი მანჩესტერში აღმოჩნდა.

## ჟოზე მოურინიო: „ზლატანი მანჩესტერში არ დაბრუნდება“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ზლატან იბრაჰიმოვიჩის მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს რეალური არ არის.

ჟოზეს თქმით, ის უპირატესობას ახალგაზრდა ფეხბურთელებს ანიჭებს.

– იბრას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის უკვე იყო მანჩესტერში და კლუბი მის დაბრუნებას არ აპირებს. ზლატანთან მუშაობა ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაბარდა, – განაცხადა ჟოზე მოურინიომ.

რამდენიმე დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ იბრაჰიმოვიჩი ევროპაში, კერძოდ კი, მანჩესტერში აპირებდა დაბრუნებას.

## იუვენტუსმა თვალი დე ხეას დაადგა



ტურინის იუვენტუსი კიდევ ერთ ხმაურიან ტრანსფერს ამზადებს. ტურინელებმა თვალი მანჩესტერ იუნაიტედის მეკარეს, დავიდ დე ხეას, დაადგეს, რომლის ყიდვა მიუნხენის ბაიერნსაც სურს.

დე ხეამ უარი თქვა მანჩესტერთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და არ არის გამორიცხული, რომ მან სეზონის ბოლოს გუნდი დატოვოს.

იუვენტუსი მზად არის, დე ხეას ტრანსფერში 100 მილიონ ევროზე მეტი გადაიხადოს, მაგრამ მანჩესტერელები ჯერჯერობით დე ხეას გაყიდვაზე არ საუბრობენ.

რამდენიმე წლის წინ დე ხეას ყიდვა მადრიდის რეალსაც სურდა, მაგრამ ეს ტრანსფერი ჩაიშალა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს სმს–ს უგზავნის:
– 38,5! ყველაფერი მტკივა.
– უფრო მოკლე ვერ ნახე? – უპასუხა დაქალმა..

•••

ექიმი ავადმყოფს ეკითხება:
– თქვენ ფასიანი პაციენტი ხართ თუ უფასო მიცვალებული?

•••

საბავშვო ბაღში ერთი ბავშვი მეორეს ეკითხება:
– შენმა მშობლებმა როგორ გაიცნეს ერთმანეთი?
– როგორ და დედას ბიჭი უნდოდა, მამას გოგო და... დაქორწინდნენ.

•••

ავადმყოფი ფსიქიატრს ეუბნება:
– ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან მაწუხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა!
– რას მეუბნებით, ჩვენ ქვეყანაში არანაირი ეკონომიკა არ არსებობს. ეგ ყველაფერი მითია, ბოდვა! თქვენ ალბათ ალკოჰოლს ნამეტანი ეტანებით?!

•••

მამაკაცს ეკითხებიან:
– თქვენ რეზიუმეში მიუთითეთ, რომ მოჩვენებებს ანადგურებთ.
– დიახ, მასეა.
– კი მაგრამ, ისინი არ არსებობენ!
– მადლობა საჭირო არ არის.

•••

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– დღეს პირველად ვიგრძენი თავი ქალად.
– რა, მამაკაცთან იწექი?
– არა, ფრჩხილი მოვიტეხე.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, იცი რა მინდა?
– ყველაფერი!
– ეგ ჯერ ერთი...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– მოდი, ოჯახობანა ვითამაშოთ.
– ეგ როგორ?
– ჯერ სექსი გვექნება, შემდეგ კი ხასიათებით ვერ შევეწყობით!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენ ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ამერიკელმა ფეხი მოიტეხა და ლატარიაში მილიონი მოიგო




ამერიკელმა ერლი ლივინგსტონმა ფეხი იმ დროს მოიტეხა, როდესაც მაღაზიაში ლატარიის ბილეთის საყიდლად მიდიოდა, ამის გამო ის საავადმყოფოში მოხვდა და იქ სხვა პაციენტებთან და ექიმებთან ერთად მილიონი დოლარი მოიგო.

ნიუ-ჯერსის შტატის კემდენის ოლქის ქალაქ ბლეკვუდის მცხოვრები ლატარიის ბილეთის საყიდლად მაღაზიისკენ გაემართა, მაგრამ გზაში 87 წლის მამაკაცს ფეხი დაუცურდა, დაეცა და თეძოს მოტეხილობა მიიღო. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მან დაიჩივლა, რომ ლატარიის ბილეთის ყიდვა ვერ მოასწრო.

ერთ-ერთმა ექიმმა მას შესთავაზა, ლატარიის ბილეთების შეძენის საავადმყოფო საზოგადოებას შეერთებოდა. ლივინგსტონი მისი 142-ე წევრი გახდა. საზოგადოების წევრები ფულს დებდნენ ბილეთების შესაძენად, რათა ამით მოგების შანსი გაეზარდათ. შედეგად საზოგადოების მიერ ნაყიდი ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი გამოდგა და მათ მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

ლივინგსტონის ნათესავმა ბობი მიკლმა თავიდან ბიძის ნათქვამი არ დაიჯერა და იფიქრა, ტკივილგამაყუჩებლების გამო აბოდებდა, მაგრამ როდესაც პალატაში ექიმები შევიდნენ და მიულოცეს, მაშინ უკვე დარწმუნდა, რომ ბიძამისი სიმართლეს ეუბნებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 2. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. კუბელი დიქტატორი; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიცია; 16. ფიგურული სახაზავი; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 19. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 21. ეკლესია, სამლოცველო; 22. ყაჩაღის ძველებური სახელწოდება გურიაში.

**თარაზულად:** 5. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 7. რაიონული ცენტრი მესხეთში; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 12. შიშველი, წვეტიანი კლდე; 13. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება; 14. თეატრალური წარმოდგენისთვის საჭირო ნივთების ერთობლიობა; 18. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 20. არაბი გლეხი; 23. ქართული ტელეკომპანია; 24. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 25. საზღვაო-სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 26. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 27. მაღალხარისხოვანი ყავის ჯიში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

